# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 მაისი, 2009 წელი.

№ 105 (6206)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



2007 წლის 7 ნოემბრამდე და მას შემდეგ სააკაშვილის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მძიმე დანაშაულებს, 2008 წლის 7 აგვისტოს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული, კერძოდ, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მის მიერ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ ზონაში ომის დაწყება, იქ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის და ქართველი მეომრების სასიკვდილოდ გაწირვა, ქართული მოსახლეობის ლტოლვილად ქცევა და კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერით რუსეთისთვის დე იურედ საქართველოს ტერიტორიის მეოთხედის გაფორმება.

3

## ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისიდან სამართლებრივად დასაბუთებული მშვიდობიანი გამოსავალი

ედუარდ შევარდნაძე:

## მე ვიცი ერთი ადამიანი, ვისაც პრეზიდენტობის შანსი აქვს, იგი 60 წელს გადაცილებულია და საქართველოში ცხოვრობს

2





## „ვადამდელი არჩევნები, მოლაპარაკება ან სხვა რამ"...

2



გიორგი ანდრიაძე:

## პატრიარქი რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს

ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე აცხადებს, რომ დადასტურდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ პატრიარქზე სამების საკათედრო ტაძარში ზეწოლის განხორციელების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

— 28 მაისის განცხადებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლად, ფაქტობრივად რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. ის ჩვენი ხალხის პატრიარქია და არა უგულავასი და მერაბიშვილისა და მით უმეტეს სააკაშვილისა. დანარჩენი ჩვენი საზოგადოების გასაკეთებელია. ნუღარ შევაწუხებთ ჩვენს პატრიარქს. მან თავისი 28 მაისის განცხადებით ყველაფერი უკვე თქვა. გამგებმა უნდა გაიგოს, — აცხადებს ანდრიაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

## „ელიტა" და „მაიმუნები"...

4



პასუხი ბატონ შალვა ნათელაშვილს



7

WorldNetDaily

## ამერიკა საქართველოში სამხედრო მინოდებებს უნევს

## „საქართველომ შესაძლოა, რეგიონალური ლიდერის როლი დაკარგოს"

3

## ◉ აქტუალური ინტერვიუ



# ედუარდ შევარდნაძე: მე ვიცი ერთი ადამიანი, ვისაც პრეზიდენტობის შანსი აქვს, იგი 60 წელს გადაცილებულია და საქართველოში ცხოვრობს

### გვესაუბრება ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

**— ბატონო ედუარდ, დღეს საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ხელისუფლებას პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით ვადამდელი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვითარების განმუხტვის ერთადერთი გზა ვადამდელი არჩევნებია?**

— საპატრიარქოს მიერ გავრცელებული განცხადება არის იმის ასახვა, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. ფაქტია, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სერიოზული დაპირისპირებაა, საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი მაღალია. როგორც ჩანს, საპატრიარქომ საჭიროდ ჩათვალა დროული რეაგირება და ეს სწორი ნაბიჯია. ჩემი დაკვირვებით, აშკარად იყო მცდელობა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან, რომ მისი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა მომხდარიყო და მან 26 მაისს ეს არ გააკეთა. მისი დღევანდელი განცხადება მეტყველებს იმაზე, რომ უწმინდესი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დადგა და რადგან მიიღო ამ განცხადების გავრცელების გადაწყვეტილება, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი გათვალა. ის ბრძენი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაბიჯზე ძალიან ბევრს იფიქრებდა.

**— განცხადებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავლად ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს მიიჩნევს პატრიარქი, თუ საკანონმდებლო ორგანოს ვადამდელ არჩევნებს....**

— ჩემი აზრით, პატრიარქის განცხადება და ოპოზიციის მოთხოვნები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

**— ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობთ?**

— ჩემი აზრით, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. შეიძლება იმ ვარიანტის განხილვაც, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს და პრეზიდენტს უფლებები შეეზღუდოს, მაგრამ ეს ვარიანტი მე ნაკლებად ეფექტურად მეჩვენება.

**— როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი გადადგება?**

— მე კიდევ ერთხელ შემიძლია, გითხრათ, რომ პატრიარქის ეს განცხადება არის იმის ადეკვატური, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. პრეზიდენტი გადადგება თუ არა, არ ვიცი. ასეთ ვითარებაში მე გადავდგებოდი.

**— მაშინ ახლა ოპოზიციურ სპექტრს გადავხედოთ. რომელი ლიდერის რეალურ შანსებზე შეგიძლიათ საუბარი?**

— ლიდერების შანსებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ახლა ამის დრო არ არის. ოპოზიციას ჯერ ბევრი პოლიტიკური რაუნდი აქვს მოსაგები. მე რასაც ვუყურებ, ისინი მეტ-ნაკლებად წარმატებულად და ჭკვიანურად მოქმედებენ. უშვებენ შეცდომებს, მაგრამ ეს შეცდომები საბედისწერო ნამდვილად არ არის.

**— თუმცა ახლა ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა. „ეროვნული ფორუმი“ დამოუკიდებლად მოქმედებაზე გადავიდა; სავარაუდოა, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდიც დამოუკიდებლად ბრძოლის გაგრძელებას შეეცდება.**

— ჩემი აზრით, „ეროვნული ფორუმი“ სწორად არ მოიქცა. შესაძლოა, ოპოზიციაში სერიოზული აზრთა სხვადსხვაობაა და არ გამოვრიცხავ, რომ „ეროვნულ ფორუმს“ მტკიცე არგუმენტებიც აქვს, რიც გამოც მას ბრძოლის დამოუკიდებლად გაგრძელება ურჩევნია, მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი ოპოზიციის ერთობაა და ეს ერთობა არ უნდა დაიშალოს.

**— რას იტყვით ნინო ბურჯანაძის შანსებზე?**

— მან დაიკავა თავისი ადგილი ოპოზიციაში, მაგრამ ის არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ლიდერი. მე მის ადგილს პარლამენტში ვხედავ და არა სახელმწიფოს სათავეში. ნინო ბურჯანაძე ქვეყნის პრეზიდენტი ბევრი მიზეზის გამო ვერ გახდება.

**— ირაკლი ალასანია?**

— მე ბევრჯერ მითქვამს, რომ ის კარგი და ჭკვიანი ბიჭია, მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა.

**— „პირველისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტობის 2 სერიოზული კანდიდატი გეგულებათ. რატომ არ ასახელებთ მათ ვინაობას?**

— ჯერ ამის დრო არ არის. ისე დავაზუსტებ: იმ ორიდან ერთს უფრო მეტი შანსი აქვს. ვინაობას არც ახლა დავასახელებ, თუმცა შემიძლია, გითხრათ, რომ იგი არც ძალიან ახალგაზრდაა და არც ისეთი ასაკოვანი, რომ ქვეყნის მართვა ვერ შეძლოს. 60 წელს გადაცილებული კაცია და საქართველოში ცხოვრობს.

**— თქვენ გაქვთ მასთან მუშაობის გამოცდილება?**

— იგი აქტიურ პოლიტიკაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ აქვს შესაძლებლობა, რომ კარგი პრეზიდენტი იყოს. მას შეუძლია რუსეთთანაც მოაგვაროს ურთიერთობა და აშშ-სთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს. ამისათვის ავტორიტეტიც ხელს უწყობს და ხალხის ნდობაც. მას საქართველოს მოსახლეობა ენდობა.

**— როდის უნდა ელოდოს ქართული საზოგადოება მის გამოჩენას?**

— სავარაუდოდ, მაშინ, როცა არჩევნები დაინიშნება.

**— თქვენ რატომ არ ამჟღავნებთ მის ვინაობას?**

— არ არის საჭირო.

**— რა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება შეძლოს და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დღის წესრიგში დადგეს?**

— პოლიტიკაში მთავარი ნდობის ფაქტორია. მისი მოპოვება კი კონკრეტული პოლიტიკოსის განვლილი გზის და ბიოგრაფიის მიხედვით ხდება. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, შანსი მიხეილ სააკაშვილსაც აქვს, რომ ამ საკითხზე დიალოგი აწარმოოს რუსეთის ხელისუფლებასთან. მოქმედ პრეზიდენტს აქვს შანსი, რომ ეს რეალობა შეცვალოს, მაგრამ ამისათვის რადიკალურად განსხვავებული ნაბიჯები უნდა გადადგას — 180 გრადუსით უნდა შემობრუნდეს.

**— და რას მიიღებს ამით?**

— შეიძლება დარჩეს პრეზიდენტად, მაგრამ ყველა ნაბიჯი უნდა იყოს კარგად გათვლილი და გააზრებული.

**— თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი რამდენად შეძლებს ვითარების შემობრუნებას?**

— მისი გაპრეზიდენტება უკვე ნიშნავს შემობრუნებას.

**— 2003 წლის ნოემბერში თქვენს გადადგომას ამდენი მოქალაქე ითხოვდა?**

— ამდენი არ იყო, თუმცა საკმაოდ ბევრი ხალხი ითხოვდა მაშინ ჩემს გადადგომას. ისე, ჩემი შეფასებით, საპროტესტო მუხტი ახლა უფრო მაღალია — ახლა თვენახევარია ხალხი ქუჩაში დგას.

**— რატომ არ შეასრულეთ მაშინ ხალხის მოთხოვნა და რატომ არ გააუქმეთ საპარლამენტო არჩევნების შედეგები?**

— არ შეიძლებოდა არჩევნების შედეგების გაუქმება. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი მხრიდან დიქტატორული ნაბიჯი იქნებოდა. რაც გავაკეთე მაშინ სწორი ნაბიჯი იყო. არ ვნანობ, არც მინანია და არც მომავალში ვინანებ. მე მაშინ სისხლისღვრაზე ვთქვი უარი და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი.

**— ახლაც დგას ქვეყანა სისხლისღვრის საშიშროების წინაშე?**

— საფრთხე საკმაოდ რეალურია.

**— რამდენად მაღალია პოლიტიკურ პროცესებში ჯარის ჩარევის ალბათობა?**

— ჯერჯერობით ჯარი იმ მდგომარეობაში არ არის, რომ პროცესში ჩაერიოს, მაგრამ თუ დროულად არ მოხდება ვითარების განმუხტვა, შესაძლოა პროცესები უმართავი გახდეს.

**— რას ურჩევდით სააკაშვილს?**

— 180 გრადუსით შემობრუნებას.

**— ან გადადგომას?**

— ჯერ შემობრუნებას. მას ჯერ კიდევ აქვს შანსი და თუ არ შემობრუნდება, მაშინ ხალხი გამოუტანს განაჩენს. მე მას ცუდს არაფერს ვუსურვებ. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ ეყოფა გონიერება და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

სააგენტო „პირველი“

## ◉ მელას რაც ელანდებოდა...

# „ვადამდელი არჩევნები, მოლაპარაკება ან სხვა რამ“...

**აი, ის სამი ვარიანტი, რომელიც შესთავაზა ხელისუფლებას საქართველოს პატრიარქმა, — მისი აზრით, ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისმა უწმინდესობამ დაადასტურა პოლიტიკური კრიზისის არსებობა, რისი აღიარებაც ხელისუფლებას არაფრით არ სურს.**

საქართველოს სულიერმა მამამ ისიც განმარტა, თუ რატომ გააკეთა მან 26 მაისს ის განცხადება, რომელიც საზოგადოების უმრავლესობამ, არცთუ უსაფუძვლოდ, ხელისუფლების მხარდაჭერად აღიქვა. — სისხლი დაიღვრებოდა!!!

რაც შეეხება 28 მაისის განცხადებას, რომელსაც მის უწმინდესობასთან ძმები გაჩეჩილაძეებისა და ნინო ბურჯანაძის დახურული შეხვედრა უძღოდა, ეს უკვე ოპოზიციამ და, რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა აღიქვეს პატრიარქის მხარდაჭერად და ასევე საფუძვლიანად. ეს იმითაც ჩანს, რომ, ვადამდელი არჩევნების ხსენებაზეც რომ არაფერი ვთქვათ, განცხადებაში მხოლოდ ხელისუფლებისადმი მოწოდებაა და გაკვრითაც არ არის ნახსენები ოპოზიცია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ უწმინდესის განცხადების სათავისოდ ინტერპრეტაცია სცადა, აქაოდა, ვადამდელ არჩევნებში, რასაც აგერ ლამის ორი თვეა ითხოვს ქართველი ხალხი, პრეზიდენტის არჩევნები არ უგულისხმიაო და, გიიივი თარგამაძემ, — მზად ვართ, 2010 წელს ადგილობრივი არჩევნების, ანუ თბილისის მერის არჩევნებზე დაველაპარაკოთ ოპოზიციასო. ვერაფერს იტყვი — დიდსულოვანი ჟესტია! რადგან, იმაზედაც მადლობლები უნდა ვიყოთ, რომ ფარცხანაყანების საკრებულოს არჩევნებს არ გთავაზობენ.

**როგორ სათავისოდ აღიქვა ხელისუფლებამ პატრიარქის მოწოდება, რატომ დაიწყო მისი შესრულება „კუდიდან“ და რა ბედი ეწევა „ფარცხანაყანების გამგებელს“?**

**ახლა რაც შეეხება გუშინწინ, ამაღლების ღამეს, რუსთაველზე მომხდარ ინციდენტს.**

**ეტყობა, სანამ ადგილობრივი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით მოწყალებას გაიღებდნენ, მანამდე პატრიარქის მოწოდების სამი ვარიანტიდან ერთის — „ან სხვა რამის“ — შესრულება გადაწყვიტეს.**

ეკა ზღულაძეს რომ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს, არახალია, მაგრამ თურმე ფანტაზიის ნაკლებობასაც განიცდის. თურმე, ნუ იტყვით და, შსს „მშვიდობიან“ ოპერატორს, სანამ „პადიეზდში“ შეათრევდნენ საცემად, მოუსწრია პოლიციის გამოძახება (ისემც რა ვუთხარი, მართლა ასე რომ ყოფილიყო, პოლიციაში ვინ დაარეკინებდა?!ძ, რომელიც, ადრინდელისგან განსხვავებით, როცა ზურა მანჯავიძის მცემელები არ დააკავეს, ან როცა „მაესტროს“ აფეთქებისას მთელი 2 საათის დაგვიანებით მივიდნენ, ამ შემთხვევაში კოლეგა ოპერატორის დასახმარებლად, ოპერატიულად გამოცხადდნენ შსს „ახალ უნიფორმებში“, ჯინსებში გამოწყობილები და დაერივნენ მომიტინგეებს, რომელთაგანაც, როგორც წესი, ადრე არანაირ წინააღმდეგობას არ აწყდებოდნენ, მაგრამ ამ ჯერზე, ჯეროვნად მიიღეს ანუ, კაი ჩიტი დაიჭირეს. — აკოფ დარდიმანდიანცის არ იყოს, დაშხოშიანად, მამაპაპურად გაილახნენ და ისეთი სისწრაფით გარბოდნენ, თვით გორის სპრინტში გამარჯვებულ მიშასაც კი შეშურდებოდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეც იმ არცთუ მცირერიცხოვანთა რაოდენობას ვეკუთვნოდი, რომლებიც 26 მაისის ცნობილი ამბების შემდეგ, სულ ცოტა, სკეპტიციზმმა შემიპყრო, რის გამოც გულში თუ ხმამაღლა არაერთხელ შევუკურთხე ოპოზიციის ლიდერებს. ახლა, პატრიარქის დროული და ბრძნული განცხადების შემდეგ, ახალი იმედი გამიჩნდა.

**26 მაისი უდავოდ ისტორიული გამარჯვების დღე იყო. გადავსებულმა სტადიონმა ისე დაზაფრა ჩვენი პრეზიდენტი, რომ სასაფლაოს საზეიმო გახსნის შემდეგ, საკუთარი სტადიონის საძებრად რომის ოლიმპიურ სტადიონს შეაფარა თავი, სადაც ყურს და თვალს ატყუებდა — ბარსა! ბარსა! ალბათ მი-შა! მი-შად! ჩაესმოდა ხოლო გადაჭედილი „სტადიო ოლიმპიკო“, მის ხარდასაჭერად მისული ხალხი ეგონა სილვიო ბერლუსკონის მიერ იგნორირებულ საქართველოს პრეზიდენტს.**

**ერთ რამეში დარწმუნდა ქართველი ხალხი — საპროტესტო ტალღა არ შემცირებულა და პროტესტი მანამდე გაგრძელდება, სანამ ქართველობა სანუკვარ მიზანს არ მიაღწევს — გადადგება ფარცხანაყანების საკრებულო თავისი სოფლის გამგებლიანად და ახალი არჩევნები დაინიშნება.**

**დავით მხეიძე**

**P. S. ისე ერთი რამეც ნიშანდობლივია — სისხლიანი ცემატყეპები, როგორც წესი რელიგიურ დღესასწაულებს ემთხვევა. ასე იყო ბზობის, 6 მაისის გიორგობისა და აგერ ახლა, ამაღლების ღამეს. ვითომ შემთხვევითია ეს დამთხვევები? არა მგონია — ეკლესიების მნგრეველთაგან, პატრიარქს რომ საკურთხეველში შეეჭრები, ისეთი ხალხისგან უარესიც არ გაგვიკვირდეს!..**

**დ. მ.**

## ◉ დღის სატკივარი

### ერთობა

*ქართველო, შენ გეუბნები,*
*როდემდე უნდა გეძინოს?*
*გთხოვ, გაიღვიძო,*
*რომ შვილებს,*
*ხვალინდელი დღე შესძინო.*

*ვინ გაპატიებს ქართველო,*
*აწმყოს ბუჩქებში რომ მალავ,*
*წარსულის დიდო ქვეყანავ,*
*პატივი ეცი მომავალს.*

*მტერს, ჩვენი მიწის*
*გოჯიც კი,*
*ერთობით არ დაეთმობა,*
*რა დროს ცალ-ცალკე*
*ყოფნაა, —*
*ღმერთმა გვიბოძა ერთობა.*

ჯანსუღ ჩარკვიანი



## მოწოდება ქართველ ხალხს

# ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისიდან სამართლებრივად დასაბუთებული მშვიდობიანი გამოსავალი

**ქალბატონებო და ბატონებო,**

**მე, ექსპერტი ადამიანის უფლებათა განათლების დარგში (ჟენევა), ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (ნევადა), სამართლის და საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი (პარიზი), პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბიძინა სავანელი ვადასტურებ რა ჩემს ტრადიციულ ერთგულებას თქვენდამი, კვლავ შეგახსენებთ, რომ:**

2007 წლის 7 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა უხეშად დაარღვია „ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მუხლი 4, 5, 14, 17, 18, 19, 27; გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის დეკემბრის „სამართალდამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 9, 10, 11, 14, 15 მუხლები; საქართველოს კონსტიტუციის 5, 6, 7, 17, 18, 19, 20, 22, 24, 25, 26, 39, 40, 43, 46-ე მუხლები.

**კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე**:

ა) დაარბია, თავისუფლება აღუკვეთა და პოლიტიკური თავისუფლება შეუზღუდა **მოშიმშილე** მომიტინგეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე, **სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

ბ) დაარღვია ყველას უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, მაშინ როდესაც მოშიმშილეები იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე, ხოლო **მომიტინგეები — რიყეზე, სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

გ) უხეშად დაარღვია მოქალაქეთა, მათ შორის მომიტინგეთა და პოლიტიკური პარტიების ლიდერთა და წევრთა **პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება;**

დ) ტელე „იმედის“ შენობის და ჟურნალისტთა ბარბაროსული დარბევით, ტექნიკის და ტელეაპარატურის ვანდალური განადგურებით, ტელე „იმედის“ და „კავკასიის“, აგრეთვე **სნნ**-ის, **ბბს**-ის და **ევრონიუსის** ტელემაუწყებლობის გათიშვით, ოპოზიციური პარტიების საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ტელესივრცით სარგებლობის უფლების შეზღუდვით, ინფორმაციის გავრცელების სატელევიზიო საშუალებათა მონოპოლიზაციით ხელყო **მასობრივი საშუალებების თავისუფლება და მათი ცენზურის დაუშვებლობა, ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;**

ე) დაბრკოლება შეუქმნა სახალხო დამცველს მის საქმიანობაში, და **მას ფიზიკური და მორალური ზიანი მიაყენა;**

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ზემოაღნიშნული უფლებების ხელყოფის შედეგად სააკაშვილმა ჩაიდინა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159 და 161 მუხლებით** გათვალისწინებული დანაშაულები;

კერძოდ, დანაშაულები გათვალისწინებული:

**სისხლის სამართლის კოდექსის 153 მუხლით,** რომლის ძალით: „სიტყვის თავისუფლების და ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონო ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა **ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლით,** რომლის ძალით: „ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან; იგივე ქმედება **ჩადენილი ძალადობის მუქარის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლით,** რომლის ძალით: „პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; იგივე ქმედება ჩადენილი ანგარებით, **არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 160 მუხლით,** რომლის ძალით: „ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ანუ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან მფლობელობის ხელშეუხებლობას; იგივე ქმედება **ძალადობით** ან ძალადობის მუქარით ან **რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად ან სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლით,** რომლის ძალით: „შეკრების ანმანიფესტაციის უფლების უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; იგივე ქმედება, ჩადენილი **იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა,** სიცოცხლის მოსპობა ან **სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.**

სააკაშვილის მიერ საქართველოს კონსტიტუციის და სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა ჩადენა დადასტურებულია საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების — სახალხო დამცველის — დასკვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება მასში, რომ მან უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ჩაიდინა დანაშაულები გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159, 160 და 161 მუხლებით.

**ამის გამო, პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილი ნებაყოფლობით გადადგა. პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილის გადადგომა როგორც ნორმატიული აქტი იყო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რაც სამართლებრივად ნიშნავდა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების და დანაშაულთა განზრახ ჩადენაში მის მიერ ბრალის აღიარებას.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააკაშვილს იურიდიული უფლება არ ქონდა თავისი კანდიდატურა ხელმეორედ წარედგინა პრეზიდენტის პოსტზე. შესაბამისად, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე მის მიერ მიღებული ხმების იურიდიული ძალა ნულის ტოლია, რის გამო „მიღებული“ ხმები დანარჩენი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების პროცენტების გათვალისწინებით მათზე პროპორციულად ნაწილდება და ბატონი ლევან გაჩეჩილაძე საქართველოს დე იურე პრეზიდენტად 6 თვით უნდა გამოცხადდეს, ხოლო სააკაშვილი — პირად, რომელმაც საქართველოს კონსიტუციის მუხლი 5, პუნქტი 3-ის დარღვევით მიითვისა და უკანონოდ მოიპოვა ხელისუფლება.

საპრეზიდენტო არჩევნების დანაშაულებრივი გაყალბება იურიდიულად დადასტურებულია ეუთოს და საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების — სახალხო დამცველის — დასკვნების ურთიერთშეჯერებით.

**ასევე, საქართველოს არ ყავს დე იურე პარლამენტი,** რადგან არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა უკანონოდ დანიშნა პარლამენტის არჩევნები. უფრო მეტი, არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა გააყალბა არჩევნები, ანუ დამატებით ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით“.**

საპარლამენტო არჩევნების დანაშაულებრივი გაყალბება იურიდიულად დადასტურებულია ეუთოს და საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების — სახალხო დამცველის — დასკვნების ურთიერთშეჯერებით.

**2007 წლის 7 ნოემბრამდე და მას შემდეგ სააკაშვილის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მძიმე დანაშაულებს, მათ შორის ერისთვის საარსებო ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვას, დაემატა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დადასტურებული 2008 წლის 7 აგვისტოს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული, კერძოდ, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მის მიერ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ ზონაში ომის დაწყება, იქ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის და ქართველი მეომრების სასიკვდილოდ გაწირვა, ქართული მოსახლეობის ლტოლვილად ქცევა და კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერით რუსეთისთვის დე იურედ საქართველოს ტერიტორიის მეოთხედის გაფორმება.**

ქალბატონებო და ბატონებო, უმორჩილესად მერამდენედ გთხოვთ დამიჯეროთ:

სახელმწიფო-სამართლებრივი და პოლიტიკური, მოსალოდნელი მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსავალია სრულიად საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენელთა საერთო კრებაზე შემდეგი გადაწყვეტილების მიღება:

### გადაწყვეტილება

**საქართველოს მოსახლეობა,**

**აცნობიერებს რა არჩევნების გაყალბების გზით ქვეყნის სათავეში მოსული სააკაშვილის და მისი გუნდის ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური, ანტიადამიანური და კრიმინალური რეჟიმის მიერ შექმნილ ღრმა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კრიზისს, რის გამოც სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის ფიზიკური არსებობა საფრთხეშია, მათ შორის იმას, რომ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ფუნქციონირება პარალიზებულია, ხოლო ძალოვანების მხრიდან 5 წლის განმავლობაში ადგილი აქვს საქართველოს მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების სასტიკ, სისტემატურ, აღვირახსნილ და დანაშაულებრივ დარღვევებს;**

**ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით და მეორე თავით, აგრეთვე 5, 6, 7, 39 მუხლებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილით:**

**1. 2007 წლის 7 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154 და 161 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების, კერძოდ, მოშიმშილეების ხელკეტებით, მშვიდობიანი მომიტინგეების რეზინის ტყვიებით და „იმედის“ თანამშრომელთა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით დარბევის გამო, საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომის, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის ძალის მქონე აქტის საფუძველზე, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს მიხეილ სააკაშვილის მიმართ იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს.**

**2. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებულ ხმებს პროპორციულად ანაწილებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატზე და საქართველოს დე იურე პრეზიდენტად დროებით ბატონ ლევან გაჩეჩილაძეს სცნობს.**

**3. სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების, კერძოდ, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების ეუთოს და სახალხო დამცველის მიერ დადასტურებული მასობრივი გაყალბების გამო, საქართველოს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს.**

**4. საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ლევან გაჩეჩილაძეს სთხოვს შექმნას დროებითი კოალიციური მთავრობა და დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები.**

**5. ამის შემდეგ, ახლად არჩეულ პარლამენტს სთხოვს გააუქმოს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2005 წლის 20 იანვარს დაგმობილი რეაქციული საკონსტიტუციო ცვლილებები, დაამტკიცოს მთავრობა, მოქმედი კანონმდებლობა კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს და 3 თვის თავზე დანიშნოს რეფერენდუმი პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება-არგაუქმების თაობაზე. პრეზიდენტის ინსტიტუტის შენარჩუნების შემთხვევაში, არჩეულ პარლამენტს სთხოვს დანიშნოს და გაეროეუთოსთან ერთად უზრუნველყოს გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნები.**

**სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია!**

*სამწუხაროდ, პოლიტიკურ პარტიათა უმცირესობამ დაუჭირა მხარი ამ პროექტს და 26 მაისს მივიღეთ „იპოდრომი - 2“.*

*როგორც ჩანს, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-ის ძალით ხალხი იძულებული იქნება ხელში აიღოს ძალაუფლება!*

**პროფ.**
**ბიძინა სავანელი**

## აზრი

# გიორგი მამულია: „შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო საქართველომ შესაძლოა, რეგიონალური ლიდერის როლი დაკარგოს“

საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორის, კავკასიის საკითხებში ექსპერტის, ყოფილი დიპლომატის გიორგი მამულიას აზრით, „შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო საქართველომ შესაძლოა, რეგიონალური ლიდერის როლი დაკარგოს“. როგორც „პირველს“ მამულიამ განუცხადა, „საერთაშორისო საზოგადოებაში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველომ შეიძლება, რეგიონალური ლიდერის როლი დაკარგოს“. „ჩემი აზრით, ამის საშიშროება მოდის არა გეოპოლიტიკური სიტუაციიდან, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ ვითარდება, არამედ შიდა დესტაბილიზაციიდან და ვინ მოიგებს — ადვილი მისახვედრია“ — აღნიშნა ექსპერტმა. მისივე თქმით, „ინფორმაცია საქართველოში ოპოზიციის მიერ პოლიტიკური ბრძოლის ყოვლად დაუშვებელი მეთოდების გამოყენების შესახებ ევროპაში დიდი ხანია, ვრცელდებოდა, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე კი ეს განსაკუთრებით მკვეთრად ითქვა“. „ნებისმიერი სახელმწიფოსთვის იმიჯის თვალსაზრისით ასეთი ინფორმაცია ძალიან არასასურველია. ირიბად პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებასაც, რომელმაც ვერ მოახერხა ისეთი დაბალანსებული პოლიტიკური სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ოპოზიციის თანამშრომლობას მთავრობასთან. განსაკუთრებით მძიმე შედეგი ჰქონდა ოპოზიციის ლიდერთა მოწოდებებს საქართველოს კომუნიკაციების ბლოკირების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური უპირატესობა სწორედ სატრანზიტო შესაძლებლობებია (ივნისში, მაგალითად, იგეგმება „ნაბუკოს“ გაზსადენის ხელშეკრულების ხელმოწერა), ასეთი მოწოდებები ძირს უთხრის ჩვენს სახელმწიფოებრიობას“, — განმარტა მამულიამ.

**ლევან ჭითანავა.**
სააგენტო „პირველი“

მწარე ლუკმა

# „ელიტა“ და „მაიმუნები“...

## პასუხი ბატონ შალვა ნათელაშვილს



ზამთრის ერთ თოვლიან საღამოს **40 წლის ნატო გ.** ატლანტიკ სითისთან ტრაგიკულად დაიღუპა. სახლში გადაასვენეს. ნატოს შვილები 12 წელიწადი არ ენახა.

**48 წლის ნანა კ.** 19 წელიწადი ამერიკაშია. სამშობლოდან წამოსვლის მიზეზები: ტუბერკულოზიანი ქმარი, მული და დედამთილი, ორი მცირეწლოვანი არატუბერკულოზიანი, მაგრამ დამშეული შვილი, ასეთივე ნათესავების ჯარი და ბარაკად ქცეული სახლი.

**59 წლის რუსუდან დ.** დიდი ხნის წინათ საბერძნეთში წავიდა. იქიდან – ამერიკაში. ოჯახი 16 წელიწადი არ უნახავს. დედა ახლახან გარდაიცვალა. ტელეფონით დაიტირა. ეს რიტუალი, ანუ გარდაცვლილის „ელექტრონული დატირება“ ჩვეულებრივი ამბავია: საქართველოში პანაშვიდი-გასვენებაა, „ამერიკელი“ ჭირისუფალი კი Skyp-ით ან ტელეფონით ცერემონიის პირდაპირ ხაზზეა და მკვდარს ტირის (ასეთივე ტექნიკური ხერხით ხდება ქორწილზე, ნათლობასა თუ დაბადების დღეებზე „დასწრება“ძ. რუსუდანი ყოველი წლის საახალწლოდ, ანუ დედის დაბადების დღისთვის საქართველოში მიდის, მაგრამ, ისევ როგორც ადრე, წელსაც ერთი წლით მაინც გადაავადებს დედის დაბადების დღეზე, უფრო სწორედ, ახლა უკვე მის საფლავზე ჩასვლის თარიღს.

**50 გიორგი პ.** 13 წელიწადი ამერიკაშია. ცოლ-შვილი, დედ-მამა, და-ძმა, მშობლიური რუსთავი ცამეტჯერ 365 დღე არ უნახავს. ქალიშვილი გათხოვდა, ბიჭი – ჯარშია. გიორგის ათამდე დაავადება აქვს, მაგრამ არც ერთი დოლარი – საკუთარი ჯანმრთელობისთვის, თუმცა საქართველოში ახლობელს თუ შორებელს სამედიცინო ხარჯები – გლანდების ოპერაციიდან დაწყებული გულის ოპერაციით დამთავრებული – დაუფინანსა. 2 თვე შუქი და წყალი არ ჰქონდა. ვერ გადაიხადა. გაუთიშეს. ამერიკაში ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს. გიორგი რასაც შოულობს, უკლებლივ რუსთავში აგზავნის. სამსახურის შოვნა არალეგალისთვის ადრეც რთული იყო, ახლა – მით უმეტეს. ერთი დღე მუშაობს, 63 დღე უმუშევარია, ერთი კვირა მუშაობს, სამი – უმუშევარია... მეორე ოთახში მცხოვრებმა ქართველმაც სამსახური თუ დაკარგა, ცივილიზაციის მონაპოვრის – გათბობისა და კონდიცირების გარეშე მძიმე ზამთარი და ზაფხული ელით (თუ ვინმემ იცის, რა არის ნიუიორკული ივლის-აგვისტო ლამის 100-პროცენტიანი ტენიანობით, გაიგებსძ.

**69 წლის ლია ჩ.** 3 წლის წინათ ჩამოვიდა. არ იცის როდის წავა. შავები აცვია, ქმარი 2 თვის წინათ დაეღუპა, ტელეფონით დაიტირა, სამკურნალოა. ქმრის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყო, უმუშევარი იყო. მეორე დღეს მეზობელ შტატში სახლის ორდღიანი დალაგებისა და ძაღლების გასეირნების „შანსი“ გამოჩნდა. წავიდა. 3 სართული დაალაგა, ტუალეტები და საძინებლები დაწმინდა, მტვერსასრუტის ხმაურის დროს ტიროდა და გმინავდა, ძაღლები დააპურა და გაასეირნა. ფული გააგზავნა. ამბობს, ქმრის საფლავისა და შვილიშვილების სწავლის ფულია გადასახდელი, რომ დაამთავრებენ, მერე წავალ ან უფრო გვიანო . . . ან მათი დაოჯახების მერეო ან შვილთაშვილების გაჩენის მერეო ან ჩემების კარგი სამსახურების შოვნის მერეო ან... ან... სანამ შევძლებო...

**29 წლის ნინო ბ.** 8 წელიწადია ამერიკაშია, გათხოვდა, ბავშვი შეეძინა. მისი ქმარი **34 წლის გიგა ჯ.** 4 წელი ჯერ გერმანიაში მუშაობდა, ახლა მეექვსე წელია ამერიკაშია. ბავშვი, ამერიკის მოქალაქე, თბილისში გააგზავნეს, იმიტომ, რომ ორივენი მუშაობენ და, აბა, პატარას ვის დაუტოვებენ? 4 წელია არ უნახავთ ვატო. შარშან აგვისტოში ამერიკის საელჩოდან თბილისში ნინოს მშობლებთან დაურეკავთ, ამერიკის მოქალაქის ვატოს ერევანში ევაკუირება შესთავაზეს. მაგრამ არ გაემგზავრნენ... ნინო და გიგა აგვისტოში ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინასთან იდგნენ და ხმის ჩახლეჩამდე მოითხოვდნენ, ყვიროდნენ და ტიროდნენ... გიგას გორში დეიდა დაეღუპა...

აშშ-დან ოფიციალური მინდობილობით სანდო ადამიანისთვის საქართველოში შვილის გატანება კანონით სავსებით შესაძლებელია. ეს მომსახურება ფასიანია (მხოლოდ საბუთის ღირებულებას არ ვგულისხმობძ. ზოგი ქართველი, ვისაც მიმოსვლის უფლება და საშუალება აქვს, სარფიანად იყენებს ამ შანსს. თითო ბავშვის ერთი მიმართულებით წაყვანა „არაოფიციალური“ ნიხრით 800-დან 1000 დოლარამდე ჯდება (ვიზის თანხა ამ საფასურში არ შედისძ. ეს ფასი არაოფიციალურია, ქმედება კი – ლეგალური. საქართველოში პატარებს კი, როგორც წესი, ბებია-ბაბუა, დედმამიშვილი, დეიდა-ბიძია, ნათესავები ზრდიან. ატლანტიკის ოკეანის თავზე ყოველთვიურად, საშუალოდ ერთ ათეულამდე ან მეტი აშშ-ის ქართველი მოქალაქე, ბავშვი – ამანათები აქეთ-იქით „დაფრინავენ“. ლეგალი შვილის არალეგალ მშობლებს საქართველოში წასვლის შემდგომ ამერიკაში დაბრუნების უფლებას არავინ მისცემთ. ქართველ არალეგალებს და ლეგალებსაც ბევრ საერთოსთან ერთად ქვეცნობიერის „ერთი სურათხატი“ აქვთ გამაერთიანებელი – ერთი და იგივე შინაარსის სიზმარი – საშინელება. ესიზმრებათ, რომ საქართველოში ჩადიან, მაგრამ მერე სიზმარიშივე ახსნდებათ, რომ ვიზადარღვეულებს ამერიკაში უკან აღარ შემოუშვებენ. ამიტომ ეს სიზმარი ნამდვილი კოშმარის სინონიმი გახდა კაციჭამიებისა და სისხლიანი კბილების არარსებობის მიუხედავად. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჩასულ მწვანებარათიანებსაც და ამერიკის ქართველ მოქალაქეებსაც კი ეს „საემიგრაციო ზმანება“ წლების განმავლობაში არ ასვენებთ...

ნინოს პოსტსამშობიარო დეპრესია კი არა, ბავშვის მონატრების დეპრესია აქვს. ნინო და გიგა სამსახურისთვის ღმერთს მადლობას სწირავენ, ერთმანეთს თვეში მხოლოდ ორჯერ ხვდებიან, რადგან სხვადასხვა შტატებსა და ოჯახებში მუშაობენ. სხვაგვარად, ვერც თავის მშობლებს, ვერც თავის შვილს და ვერც ჯერ კიდევ არდაბადებულს ვერ შეინახავენ და მომავალს ვერ უზრუნველყოფენ.

**45 წლის თამარ კ.- მ,** ახალნაიკეისრალმა, ქმრისგან მიტოვებულმა ერთი თვის პაწაწინა ნატო დატოვა. მეძუძური დედა თვითმფრინავის ტუალეტში დაჯირჯვებული ძუძუებიდან რძეს ატლანტიკის ოკეანის თავზე იღენდა... ჩამოსულს, 3 დღე ნიუ-იორკის „ფენ-სთეიშენზე“ თავის ჩანთებზე ეძინა და „მიწიერ“ ტუალეტებში დარბოდა მანამ, სანამ იმ ქართველს არ დაუკავშირდა, ვინც ამერიკაში დახმარებას შეჰპირდა. იმ დალოცვილსაც თავის პრობლემებთან ერთად მაინცდამაინც მთელი ეს ერთი კვირა ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამერიკაში თუ ფული დროზე არ გადაიხადე, მარტო დენსა და წყალს კი არა, სხვა „ფუფუნებასაც“ გაგითიშავენ...

**28 წლის** დედისერთა **ლალი ბ**. 8 წელი ამერიკაში იყო, უკვე საქართველოში აპირებდა დაბრუნებას. ერთ „მშვენიერ“ დღეს თავისიანებს არ შეეხმიანა. დაიკარგა. ვერსად იპოვეს მისი კვალი. სასოწარკვეთილმა ოჯახმა ვინ და რა არ ჩარია... ბოლოს ამერიკელი ნათელმხილველიც კი. მან კი: – თქვენი ლალი კანადის საზღვარზეაო, ამა და ამ ადგილზეო... მივიდნენ, შვილის მანქანა ნახეს, მანქანასთან იქვე კი ლალი იყო ჩამარხული. საქმე გამოუძიებელი დარჩა, მკვლელი – დაუსჯელი...

**52 წლის ეკა ჭ.** 17 წლის დევნილობის სტაჟისაა. ჭუბერზე ფეხით გადმოსულმა, ორი შვილის პატრონმა, თბილისში ცოცხალმა ძლივს ჩააღწია. 1993 წელს მისი ერთი შვილი ერთმა ნათესავმა შეიკედლა, მეორე – მეორემ, მესამემ – მისი ქმარი, თავად კი – მეოთხემ. ერთად ვერსად თავსდებოდნენ. მერე ქმარი და დედ-მამა გარდაეცვალა. ეკამ ამერიკაში „გააღწია“, ბიჭები დააპურა, ასწავლა, ბინა, ავეჯი უყიდა, უფროსს კი – მანქანა და კომპიუტერი აჩუქა. ჰოდა, 6 წლის წინათ სკოლის ეზოსთან უმცროსი ძმის სკოლიდან გამოსაყვანად მისული ვაჟი პატარა ძმის თვალწინ ვილაცამ ავტომატის ჯერით დაცხრილა, დედის ნაყიდი მანქანის საბურავებთან ჩაკეცილა უბედურ დღეზე გაჩენილი, იქვე გათავებულა... ეკა ვერ წავიდა. ვერც გასვენებაში, ვერც ორმოცზე, ვერც წლისთავზე. მოკლულ შვილს უპატრონა, ქელეხი, წლისთავი გადაუხადა, საფლავი გაუკეთა, ახლა უმცროსი შვილის სწავლის ფულს იხდის... ვერც ცოცხალ შვილს და ვერც მკვდრის საფლავს კიდევ 4 ან 5, ან 6 ან 7 წელი ვერ ნახავს... თავად ასე ამბობს. ამატებს – შეიძლება უფრო მეტხანსაცო. იცის, რომ უმცროსმა ცოლი რომ მოიყვანოს, შვილი შეეძინოს, რძალსაც და მომავალ პატარასაც რჩენა უნდა, მიწაში ჩადებულს კი სანთლისა და საკურთხის ფული...

**42 წლის ხათუნა დ.** 12 წელი აქაა. ბოლო სამი წელია მსოფლიოს დედაქალაქ ნიუ-იორკის ცენტრში ყოველ ღამე ერთსა და იგივე დროს გამოდის. ხათუნა 93 წლის ჭკუასუსტ, მარაზმატიკ მოხუც ქალს უვლის. ამ ქალს დღისით მკვდარივით სძინავს. ღამით კი წვიმასა თუ ქარში, სიცხესა თუ თოვლში ეს „ბებო“ პატარა გასეირნებებს აწყობს. ხათუნას დიდი შავი ცელოფნის პარკებით ახალი, ძველი, მთელი, დაგლეჯილი გაზეთები და გასაშლელი სკამები დააქვს. მოხუცი კი იმ საინვალიდო ეტლში თავსდება, რომელსაც ხათუნა ჭაპანივით ეწევა. ბებერი ყოველ შენობასთან „მძღოლს“ ეტლს აჩერებინებს, ხათუნას გაზეთებს სთხოვს, გლეჯს, ძირს ყრის, მერე ხათუნა ამ ნაგავს კრებს, პარკში აწყობს, ბებია სიცილ-ხარხარით გულს იჯერებს და ასეთ „მხიარულ განწყობაზე“ მყოფი ქართულ-ამერიკული ტანდემი გზას აგრძელებს. ასე მიდიან შემდეგ გზაჯვარედინამდე, შემდეგ ქუჩამდე, შემდეგ შენობამდე, სადაც მოახლე თავის „ბოსს“ კვლავ აწვდის დასაფხრეწს და ასე გრძელდება მთელი ღამე, ვიდრე ავადმყოფი არ დაიღლება. ხათუნას ღამის მანჰეტენის პოლიცია კარგად იცნობს. ისიც იცის, სად ცხოვრობს, რადგანაც ხათუნა „ბებოსთან“ ცხოვრობს. პოლიციელები არაფერს ეუბნებიან მოსეირნე ქალბატონებს, უბრალოდ, ესალმებიან. ეს ორი ადამიანი საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევს. ორჯერ მძინარე ხათუნას „ბებო“ დედიშობილა გამოექცა, იანვრის თვეში გარეთ დარბოდა. პოლიციამ ხათუნა კარის ზარით გააღვიძა, უფრო დიდი და საიმედო ცხრაკლიტულის დადება ურჩია და, რასაკვირველია, ტიტველი ბებია უკან „დაუბრუნა“. შვილიშვილებმა კარზე „შტირლიცები“ დააყენეს და მომვლელს Good Luck უსურვეს. ხათუნამ იცის, თუ რაა მისი Good Luck. ბებიამ იქნებ კიდევ ორი ანდა თუნდაც წელიწადი და 5 თვე ან 3 ან 2 თვე გაქაჩოს, იცოცხლოს, ისუნთქოს, იარსებოს... ისე, ბებოსა და მის ახლობლებს რომ ესმოდეთ, თუ რა უშვერი ქართულ-რუსულ-ინგლისურ-იტალიური სიტყვებით ხან ხმამაღლა, ხანაც ჩუმად იგინება და იწყევლება ხათუნა, ალბათ, იმწამს გააგდებდნენ. იფიცება, ეს ქალი თუ მოკვდებაო, საქართველოში წავალო, სამსახურის ძებნის ჯოჯოხეთსა და ამნაირთან მუშაობას შიმშილით სიკვდილი მირჩევნიაო. პირადი ცხოვრება მოუგვარებელი აქვს, ვერ მოიცალა, გადაჰყვა თავისიანებს. მაგრამ იცის, რომ ვერც 2 წელიწადში ვერ წავა. ამერიკაში უმუშევრობა სულის სიმწარეა, უფულობა ორმაგი სულის სიმწარეა საქართველოშიც, როცა მთელი ოჯახი შიმშილობს... ხათუნას თვეში ერთი გამოსასვლელი დღე აქვს. იმ დღესაც ამადლიან. დაილალა, უზომოდ დაიღალა, მაგრამ უძლებს. არავინ იცის, როგორ. თითქოს შეეჩვია, მაგრამ მაინც წყევლის თავის გაჩენისა და ამერიკაში ჩამოსვლის დღეს. ხან იწყევლება, ხან იფურთხება, ხან ლოცვებს კითხულობს, ხან ღვინოს სვამს, ხან ძილის წამლებს, ხან თავის თავს უყვება ანეკდოტებს, ხან ტელეფონით საათობით უსაგნოდ საუბრობს ნაცნობ-უცნობებთან ანდა ამერიკულ ტელესერიალებს უყურებს. ხათუნა პროფესიით მუსიკის მასწავლებელია, იტალიურს კონსერვატორიაში სწავლისას დაეუფლა. ინსტრუმენტთან თუ მჯდარა ოდესმე, ამასაც ვერ იხსენებს. ისე შორსაა ყველაფერი ახლა... აქ კი „პროფესიონალი გიჟია“, როგორც თავად უწოდებს საკუთარ თავს. ერთი რამ ყველაზე კარგად იცის. მარაზმატიკს რომ რაიმე დაემართოს, საქართველოში ოთხ ოჯახში შუქი ჩაქრება, გაზი და ტელეფონი გაითიშება... ხათუნას Good Luck-ის იმედი აქვს.

**23 წლის ნანა ლ.** ალცჰეიმერიანმა მოხუცმა კაცმა მოკლა. ნანას ეძინა. მოხუცი მომვლელის ოთახში შეიპარა, მძინარესთვის ჯერ ტაფა ჩაურტყამს, მერე დანა გამოუსვამს ყელში. მოხუცს არაფერი მოეკითხება, ის შეურაცხადია. ნანას საქართველოში გაგზავნილი ფული კი მისი წესის ასაგებად დაიხარჯა. მეტი ვერ მოაგროვა. სულ რამდენიმე თვის წინათ ჩამოვიდა. ნანას ერთი წლის შვილი დარჩა.

**26 წლის მაკა თ**. 5 წელი ამერიკაშია. ამ ხნის განმავლობაში დააპურა, ასწავლა, ჩააცვა და უმკურნალა თავის მშობლებს, 4 და-ძმასა და 3 ბიძაშვილს. თავად კი იმ პალტოთი დადის, რომლითაც 2004 -ის ახალ წელს კენედის აეროპორტში დაეშვა. მანამდე კი 5 წელი ეცვა. კბილის ექიმთან ვიზიტს უკვე 2 წელია იქით დებს, „ჯანქ ფუდის“ გამო უზომოდ გასუქდა, იცის რომ „გაქანებული ნევროზი“ აქვს, იცის რომ სამკურნალოა, ისიც იცის, რომ თავისთვის ფული არა აქვს, მაგრამ ამბობს, რომ ოდესმე ექნება და მაშინ აუცილებლად მიხედავს თავის თავს. ისე, ფული ყოველთვის აქვს სანთლისთვის, საქართველოში ორი ეკლესიის აღსადგენად, სტუდენტი მამიდაშვილების სარჩენად და ნიუ-იორკში მომავალი ქართული ეკლესიის მშენებლობისთვის შესაწირად. ერთადერთი, რაც თავის ოჯახს სთხოვა, ქინძის, ოხრახუშის, კამისა და მისთანანის თესლების გამოგზავნაა (თითქოს აქ არ იშოვებოდესძ. სადაც მუშაობს, იმ ოჯახს პატარა მიწის ნაკვეთი აქვს. ჰოდა, მაკა თავს ევლება თავის ქინძებსა და ნიახურებს. ისიც იცის, რომ ნიახური არაა. მწვანე სულიერებს ქართულ სახელებს არქმევს, ეფერება, ელაპარაკება, თავის და სტუდენტი ახლობლების ამბებს უყვება...

**56 წლის „ლელა ჰაუსკიპერი“** („დამლაგებელი“. ასე შეარქვეს ლელას. მისი გვარი აღარავის ახსოვსძ. არავინ იცის ზუსტად რამდენი ხანია ამერიკაშია. არც მისმა მეგობრებმა და არც – თავად. რამდენჯერმე თვითმკვლელობისგან გადაარჩინეს. ერთ ღამეს ნიუ-იორკში ოკეანის სანაპიროზე ლელამ წყალში „შესვლა“ გადაწყვიტა. ბედად, ორმა გამვლელმა მამაკაცმა უჩვეულო ტანსაცმლიანი „მცურავი“ შეამჩნია და პოლიციას გამოუძახა. გადაარჩინეს. ლელა ფსიქიატრიულში დააწვინეს. ახლა რემისიის პერიოდი აქვს და ამერიკელების სახლებს ალაგებს. კეთილ ხალხს რა გამოლევს და ნაცნობ-უცნობები ლელას დასალაგებელ სახლებს გამოუძებნიან ხოლმე. ჰოდა, ამ ხალხმა ოჯახს საქართველოში შეუთვალა: წაიყვანეთ, უპატრონეთ, მაინცდაიმაინც ამერიკაში უნდა მოკვდესო? გადასვენება 5-8 ათასი დოლარი დაგიჯდებათ, ჩვენ კი რომდემდე უნდა ვუპატრონოთ ამ გაჭირვებულს, საკუთარი თავი გაგვჭირვებიაო?!. იმათ კი ლელას ამერიკელ გულშემატკივრებს, შეუთვალეს: – მანდ იმკურნალოს, ჩვენ აქ ვერ ვუპატრონებთო, ჩვენი მამამარჩენალი თუ „დედამარჩენალი“ ეგ არისო, არ გამოუშვათ, არ დაგვღუპოთ, თორემ თავს ჩვენ მოვიკლავთო...

**35 წლის თეა ჩ.** 6 წელია ამერიკაშია. 11 თვის უმუშევრობისა და მაწანწალური ცხოვრების შემდეგ სამსახური ძლივს იშოვა. 75 წლის მოხუცი მამაკაცი ჯერ ჯენტლმენი იყო, მერე კი უხამსი წინადადება შესთავაზა. დაემუქრა გაგაგდებო ანდა ცოლის სამკაულების მოპარვას დაგაბრალებო. თეა გაიპარა და მეგობრის, ელისოს „სახლს“ შეაფარა თავი. უფრო სწორედ, ერთი კვირა კარადაში ცხოვრობდა. **31 წლის ელისო დ.** 10 წელია ამერიკაშია. თეა ტელეფონით გაიცნო (ნაცნობის ნაცნობის ნაცნობის ტელეფონით დამეგობრება ემიგრანტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილიაძ. ელისო მოხუც წყვილს უვლის, ორივე ყრუა, მაგრამ არა ბრმა. თეას წასასვლელი არსად ჰქონდა. ელისომ იგი ამ მოხუცების სახლში, სადაც თავადაც მუშაობს, ჩუმად შეაპარა და „ქლოზეთში“ (ოთახი-კარადაძ მიუჩინა ბინა. მოხუცი მასპინძლები ძილის წინ სასმენ აპარატს იხსნიდნენ, ამიტომ თეასა და ელისოს შორის არამუნჯური საუბარი სწორედ ამ მომენტიდან იწყებოდა. იმ სახლის პატრონებმა დღემდე არ იციან, რომ მათთან ორი თვე საქართველოს ერთი კი არა, ორი მოქალაქე ცხოვრობდა. ერთი ხილული, მეორე კი უხილავი – „კარადაში“. იმ თავხედი „ჯენტლმენისთვის“ კი, როგორც გაირკვა, თეა რიგით მეოცე თუ ორმოცდამეათე მომვლელი იყო. წელიწადში მოხუცი „კაზანოვა“ 12 მდედრობითი სქესის მომვლელს იცვლიდა, მამაკაც მომვლელზე კი პრინციპულად უარს ამბობდა. მარტივი არითმეტიკით გამოდის, რომ ჯენტლმენობა მას ხან 29, ხანაც 30 დღეს ჰყოფნიდა.

როცა ელისოსთან გაჩერება შეუძლებელი იყო (მოხუცების შვილი სტუმრად ჩამოდიოდაძ, ელისომ თავის მეგობარს **ელენე ბ.**-ს სთხოვა, პატივი მეცი, ერთი ჩვენებური შემიკედლეო. ჰოდა, თეაც ელენესთან გადავიდა. ელენეს ნიუ-იორკის ღარიბულ კვარტალში ერთი ოთახი აქვს დაქირავებული, სადაც 4 ადამიანი უკვე ცხოვრობს. ელისო მეხუთე გახდა. ელისომ შემოსასვლელ კარებთან, ვიწრო კორიდორში დაიდო ბინა, უფრო სწორედ, საწოლი...

**31 წლის ელენე ბ...**
**65 წლის თათია დ...**
**44 წლის მამუკა გ...**
**28 წლის მადონა კ...**
**54 წლის კახა გ...**
**71 წლის ნოდარი ჯ...**
**22 წლის ბაია თ...**
**81 წლის ქეთევანი ბ.**
**29 წლის გოჩა ხ...**
**33 წლის ლელი ჩ...**
**59 წლის მარიამი ც...**
**24 წლის მაია ბ..**
**74 წლის დავითი ჩ...**
**39 წლის მზია ა...**
**26 წლის ვასო თ...**
**36 წლის ნელი ბ...**
**68 წლის ერეკლე ს...**
**45 წლის ცირა დ...**
**49 წლის ზურა ლ...**
**33 წლის მანანა ბ...**
**25 წლის ვაჟა კ...**

. . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

და ასე დაუსრულებლად. 100 ათასი გადახვეწილი ან 200 ათასი, ან 300 ათასი, ან 400 ათასი, ან 500 000 ან...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

◎ რა დღეშიც ვართ

# გაგიჟდები, აბა რა მოგივა!

**იყო დრო, ქართველებს ფეხბურთი ჩვენი წინაპრების აღმოჩენა გვეგონა (სხვა ბევრი რამ ცოტა აღმოუჩენიათ თუ რა).**

**ბურთთან წილნაყარი რომ ვიყავით, ეს საბჭოთა დროშიც მრავალგზის დაგვიმტკიცებია. კრემლს სხვა რამით რომ ვერ ვჯაბნიდით, ფეხბურთით ვუპირისპირდებოდით: ვარსკვლავებთან შეთამაშებული ქართველი ბიჭები დიდ ბოლმას ამოგვაყრევინებდნენ ხოლმე.**

ბორის პაიჭაძის სახელობის დინამოს სტადიონზე შეკრებილ ათი ათასობით მომიტინგეს, თანაც უზომოდ გაბრაზებულთ, პრეზიდენტმა გვიგანა თუ გაგვექცა – თავისი ამქარით იტალიას მიაშურა.

იქ კი, ვაი სირცხვილო, საკუთარი ცოლისაგან მიგდებულ ბერლუსკონის არც კი უფიქრია, მცირედი პატივი მაინც მიეგო, შორიახლო მაინც დაესვა ჩვენი მიშა და ხელი მაინც დაექნია.

ეს უპრეცედენტო ამბავი იყო, არც მანამ და არც მერე რომის იმპერიაში რომ არ მომხდარა ისეთი.

რომაელებმა, რომელთაც თავიანთი თავი სწორუპოვრად მიაჩნდათ, მხოლოდ ქართველს არგუნეს ეს პატივი.

სააკაშვილმა კი საკუთარ ხალხს ხომ შეაძულა თავი, მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის მეთაურს მისი სახელის გაგონება არ უნდაო. ასეც არის, აქედან გაპარული იქ ლობეყორეს ედება და მაინც იხტიბარს არ იტეხს.



სამაგიეროდ საკუთარ ხალხს დაერია, ზოგს იჭერს, ზოგს რეზინის თუ პლასტმასის ტყვიას უშენს, ზოგს თვალსა თხრის, ერთი სიტყვით, გიჟობს და არ იცის, რა ქნას.

რუსთაველზე ხმა გავარდა. სპორტსმენი ძმები ბიწაძეები დაიჭირესო. ეს ის ვაჟკაცები არიან, რომლებმაც საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყანა არაერთგზის ასახელეს, ხოლო ქალაქში დიდი პატივით სარგებლობენ. დამსახურებულადაც – ისინი, ხომ ეროვნულ საქმეს აკეთებენ, სპორტსმენების ახალ-ახალ თაობებს ზრდიან, სხვა სიკეთესაც თესავენ.

მოვიდა ვარდების ხელისუფლება და სხვა ყველა სიკეთესთან ერთად ეს სიკეთეც მოგვიკლა – ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი რაღაც ერთ საათში გაგვიქრეს.

სამაგიეროდ ჩვენი ნაცელიტა სხვის ფეხბურთს ეთაყვანება, უცხო კერპი გაიჩინა. საკუთარი დედა მოიძულა და დედინაცვალს ეთაყვანება.

ჰო, ასე იყო, ლამის მსოფლიოს მბრძანებელი იმპერატორები ფარსმან პირველს, ფარსმან მეორეს, ქართველთა ღირსეულ მეფეებს დიდი რიდით ეპყრობოდნენ, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც იქნა, კეთილი ნება გამოიჩინა და რომს ეწვია, მავზოლეუმს ცხენზე ამხედრებულმა ჩაუარა. ჰოდა, მერე კი ასევე ცხენზე ამხედრებულს აღუმართეს ქანდაკება.

ერთი სიტყვით, დღეს ჩვენთან, იმდენი რამ ხდება გასაოგნებელი, ჩვენი ქვეყანა როგორ უძლებს ამ ვაებას, ნამდვილად გამკვირვებია.

ჰოდა, ქართველებო, სანამ გამოუსწორებელი არ მომხდარა, ერთხელ კიდევ ჯეროვნად ავუქშიოთ ამ ჩიტირეკიებს, თორემ მერე გვიან იქნება.

**გივი ჯახუა**

◎ საპატრიარქო



# რუსულენოვანი მრევლის თხოვნა შესრულდა

**იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის რუსულენოვანი მრევლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო, რაც ერეკლე მეორის საზოგადოების ძალისხმევითა და ინტერნეტ-ჟურნალ „კავკასიის ექსპერტების“ მონაწილეობით განხორციელდა. პატრიარქთან უშუალო შეხვედრამდე მრევლს შეხვდა ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკი, რომელმაც ყურადღებით მოუსმინა მათ და მოახსენა პატრიარქს მათი თხოვნის შესახებ.**

რუსულენოვანი მრევლი მოითხოვდა: შეწყდეს საეკლესიოსლავური ენის შევიწროება ღვთისმსახურებაში ტაძრის ამჟამინდელი წინამძღვრის მიერ და დაინიშნოს ახალი წინამძღვარი; შენარჩუნდეს რუსული ტაძრისთვის დამახასიათებელი შიდა და გარე არქიტექტურა; შენარჩუნდეს რუსული საეკლესიო გალობა.

პატრიარქმა პირადად მოისმინა მრევლის აზრი. უწმინდესი შეჰპირდა მათ, რომ შეხვდება ამ ეკლესიის წინამძღვარს და სხვა მღვდელმსახურებს და ეს პრობლემა მოგვარდება.

მრევლის წარმომადგენლებსა და უწმინდესს შორის ძალზე კეთილგანწყობილი და გულახდილი საუბარი გაიმართა. უწმინდესმა ორჯერ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ეკლესიის პრობლემა ძალიან ადვილად გადაიჭრება, მთავარია მოგვარდეს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური პრობლემებიო. ეს უფრო რთული საკითხია, მაგრამ უფლის წყალობით ყველაფერი კარგად იქნებაო. შემდეგ დაათვალიერებინა მათ საპატრიარქო, ყვავილების ორანჟერეა და ყველა მათგანს აჩუქა თავისი წიგნი „მზიანი ღამე.“

ამ შეხვედრის შემდეგ, პატრიარქი თავად მივიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში და ადგილზე გაეცნო სიტუაციას. ტაძრის წინამძღვარი, რომლითაც უკმაყოფილო იყო მრევლი, სხვა ადგილას გადაიყვანეს. „ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს საპატრიარქო სათუთად უფრთხილდება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. სწორედ ეს მცირერიცხოვანი მრევლი, რომელიც შედგება კეთილსინდისიერი, კულტურული ადამიანებისგან, და თავის სამშობლოდ მიიჩნევს როგორც რუსეთს, ასევე საქართველოს, წარმოადგენს რუსი და ქართველი ხალხის დამაკავშირებელ ერთ-ერთ იშვიათ დარჩენილ ძაფს. ხოლო ერთმორწმუნეობა და მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობა ამ კავშირის საფუძველია,“ – გვითხრა ჟურნალ „კავკასიის ექსპერტების“ მთავარმა რედაქტორმა გულბაათ რცხილაძემ.

**ნატა ნიბლაძე,**
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ საღამო

# ბედნიერი და თვალცრემლიანი დუშელები

**ყოველთვის თბილი, ჭეშმარიტი პოეზიის გამგები და დამფასებელი დუშელები იმ დღეს განსაკუთრებით ღელავდნენ. დუშეთის კულტურის სახლი მასპინძლობდა მანანა ჩიტიშვილს, ტარიელ ხარხელაურს, ეთერ და ლელა თათარაიძეებს. მათი შემოქმედების უდიდესი ღირსებაა, რომ ხალხური პოეზიით საზრდოობს. ამიტომაც იყვნენ ოთხივენი ხალხური ლექსივით გულწრფელნი, უშუალონი, სევდიანნი და ლამაზნი, მართლაცდა, ერთი სისხლისანი, ხოლო დარბაზი მათი ლექსით – მონუსხული და ბედნიერი.**

მანანა ჩიტიშვილის, ტარიელ ხარხელაურის, ეთერ თათარაიძის პოეზიას ლელა თათარაიძის სიმღერები კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებდა. მან ხომ ამ პოეტთა ლექსებზე მრავალი სიმღერა შექმნა.

მანანა ჩიტიშვილმა დუშელი აუდიტორია ლექსის ჩინებული ცოდნით გამოარჩია, რომელიც სისხლიდან მოდის, ამიტომ პასუხისმგებლობითა და დიდი სიყვარულით მოვედით თქვენთანო.

დარბაზში იყვნენ ქსნის ხეობიდან დევნილები, რომლებმაც აღფრთოვანება და ცრემლი ვერ დამალეს მანანა ჩიტიშვილის პოეზიის და, განსაკუთრებით, ქართლის ტკივილით შექმნილი ბოლოდროინდელი ლექსების გამო. ამ ლექსებს რომ ვწერდი, თითქოს ხმლის ტარზე ვიწექიო, – გაუმხილა პოეტმა დარბაზს.

მანანა ჩიტიშვილს, ტარიელ ხარხელაურს, ეთერ და ლელა თათარაიძეებს მიესალმნენ: ბაბუა ალუდაური, ნოდარ ოდიშელიძე, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი გიორგი არაბული.

ამავე საღამოს ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორმა ლელა რაზიკაშვილმა განაცხადა, რომ დუშეთის რაიონის გამგეობისა (გამგებელი ზურაბ ოტიაშვილი) და ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მიერ დაფუძნდა ვაჟა-ფშაველას საქველმოქმედო ფონდი.

აღსანიშნავია, რომ ახლად გარემონტებულ დუშეთის კულტურის სახლს ბაბუა ალუდაურის ფოტონამუშევრები ამშვენებდა...

დუშელებს ეს დღე დიდხანს გაჰყვებათ სულიერ საზრდოდ.

**თამარ შაიშმელაშვილი,**
ბაბუა ალუდაურის ფოტო



◎ ინფორმაცია

## ოლეგ მელნიკოვს თავი გაუტყდა

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის ინფორმაციით, რუსთაველზე მომხდარი ინციდენტის დროს იქ ოლეგ მელნიკოვიც იმყოფებოდა.

– მე ვიცი, რომ იქ მელნიკოვი და კიდევ ერთი მაღალჩინოსანი იყო, რომლის გვარსაც არ ასახელებენ. როგორც ჩანს, ის მელნიკოვზე მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, – განაცხადა ბურჯანაძემ. მისივე ინფორმაციით, შეხლა-შემოხლის დროს მელნიკოვს თავი გაუტყდა.

შეგახსენებთ, რომ ოლეგ მელნიკოვის გვარი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ფიგურირებს. რუსთაველის გამზირზე მომიტინგეების დარბევის შესახებ გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილის კაბინეტში იქნა მიღებული.

– არ დაგიმალავთ, ვინაიდან ამაღლება იყო, საღამოს კი, კონცერტი გვქონდა დანიშნული, რომელზეც მომიტინგეები ბავშვებთან ერთად იყვნენ მისულები, მე სტუმრები მყავდა – ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი. ამ დროს, ინციდენტამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე, დამირეკეს და მითხრეს, რომ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში ჩატარდა თათბირი და გაიცა ბრძანება, რომ მომიტინგეთა დარბევა, როგორც ეს რამდენჯერმე მოხდა, უნდა განახლებულიყო. ვიფიქრე, რომ ეს რამდენიმე წუთში არ მოხდებოდა და ოპოზიციონერი ლიდერების გაფრთხილება უბრალოდ რამდენიმე წუთით გადავდე. ჩვენ მომხრეებთან შეტაკება ზუსტად ზარიდან 15 წუთში დაიწყო, – განაცხადა ბურჯანაძემ, რომლის შეფასებითაც, რუსთაველზე ზონდერბრიგადები შეცვივდნენ.

## დააკავეს ინციდენტის ნაცემი მონაწილეები

შსს-ს თანამშრომლებმა ფურცელაძის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირი დააკავეს.

ამის შესახებ საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა.

კაკაბაძის ინფორმაციით, რამაზ ჯაშიაშვილი, ლუკა გვარამაძე, დავით კენჭაძე, ლევან ლოლუაშვილი და დათო კაპანაძე საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ დააკავეს.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

დიასპორა

# ღმერთმა ისე ააღორძინოს საქართველო, რომ ყველა ქართველი სამშობლოში დაბრუნდეს...

**ამ დღეებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოწვევით მსოფლიოს ოცდაოთხი ქვეყნის ქართული დიასპორების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მოინახულეს სამშობლო. ღონისძიებაზე, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, უცხოეთში მცხოვრები „ჩვენებურების“ სოციალურ მდგომარეობაზე იმსჯელეს და ყველაზე პრობლემური საკითხები განიხილეს.**

განსაკუთრებული ყურადღება დიასპორების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის საკითხზე გამახვილდა და ხაზგასმით ითქვა, რომ ოცდაოთხივე ქვეყანაში საქართველოს საელჩოებმა მომავალში ამ მიმართულებით უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ...



შეკრების მონაწილეებმა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილთა დიასპორების მდგომარეობაც განიხილეს.

როგორც ლიტვის ქართული დიასპორის წარმომადგენელმა არჩილ კურტანიძემ განმარტა, მარტო ლიტვის რესპუბლიკაში, ორას ხუთი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს, რომელთაგან ოცდათხუთმეტი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილია...

— ჩვენ, დიასპორების წარმომადგენლები, ყველანაირად ვცდილობთ, დავეხმაროთ ერთმანეთს, განსაკუთრებით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას... ამჟამად



არანაირი პრობლემები არ გვაქვს, ადგილობრივი მთავრობა ყველა პირობას გვიქმნის ნორმალური ცხოვრებისთვის. მთავარ პრობლემას ქართული განათლება წარმოადგენს — არ გვაქვს წიგნები, სახელმძღვანელოები და ახალგაზრდებს მშობლიური ენის შესწავლა უჭირთ, თუმცა ახლო მომავალში ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ — სექტემბრიდან ვაპირებთ გავხსნათ საკვირაო ქართული სკოლა, სადაც მოსწავლეები დავიწყებულ დედაენას და ქართულ ლიტერატურას შეისწავლიან, — გვითხრა არჩილ კურტანიძემ.

მისივე თქმით, დიასპორების წარმომადგენელთა შეკრებები საქართველოში ყოველწლიურად გაიმართება და მომავალში კიდევ უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს.

28 მაისს დიასპორების წარმომადგენლები დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მან სამახსოვრო საჩუქრები — ძვირფასი საეკლესიო ლიტერატურა გადასცა თანამემამულეებს.

— გადაეცით ქართველებს, რომ ყველას მოუთმენლად ველოდებით სამშობლოში — დასძინა პატრიარქმა.

**ჯაბა ქვანია.**

**სურათებზე: დიასპორა —2009 თბილისში; დიასპორის წარმომადგენლები მცხეთის ჯვარზე.**

მოგონებანი გარდასულ დღეთა

***გუგული აბაშიძე 3 წლის იყო, როდესაც იმ გემზე აიყვანეს, რომლითაც საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში მიდიოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მამის წყალობით, საქართველოში დარჩა.***

***თითქოს გემის საყვირმა გამოაფხიზლაო, ჰაიდარ აბაშიძემ დასტაცა ხელი ქალიშვილს და მშვენიერ მეუღლეს, ყაფლან წერეთლის ულამაზეს ასულ მარგარიტას და თვალის დახამხამებაში ჩამოიყვანა ისინი გემიდან.***

***ჰაიდარმა უცხოეთში განცხრომით ყოფნას სამშობლოში სიკვდილი ამჯობინა.***

***მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ იმ გემზე მყოფი საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი სწორედაც ამ პატარა გოგონას მოსავლელი გახდებოდა. მაშინ კი ექვთიმეს ჰაიდარივით უმძიმდა საქართველოს მიტოვება და მისივე სიტყვებით, მუდამ აღშფოთებას გვრიდა იმ მმართველი პარტიის უპასუხისმგებლობა, ახლა რომ ერის საუნჯე თან მიჰქონდა, მაგრამ არჩევანი აღარ დაუტოვეს და ისიც, მისი განუყრელი გუშაგიც, თან მისდევდა ამ საუნჯეს.***

***გავლენ წლები, ბევრ ჭირ-ვარამგამოვლილი ექვთიმე თაყაიშვილი პირნათელი დაბრუნდება სამშობლოში.***

***ვაშლოვნის ექვს ნომერში, იმ სახლში, სადაც ერთი პატარა, ბნელი ოთახი გამოუყვეს ემიგრაციიდან დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილს, ჰაიდარ აბაშიძის ოჯახიც ცხოვრობდა.***

***ბატონ ექვთიმეს ძალიან გაუხარდა ჰაიდარის მეზობლობა. იგი ხშირად სტუმრობდა მათ ოჯახს. ის პატარა გოგონა კი, რომელიც მამის წყალობით ემიგრაციას გადაურჩა, უკვე ქირურგი გამხდარიყო.***

***ახლა ჩემს წინ მხცოვანი ქალბატონი ზის და მოგონებებით ავსებს ოთახს.***

— მახსოვს, მამა და ბატონი ექვთიმე გვიან ღამემდე საუბრობდნენ, — იხსენებს ქალბატონი გუგული. სასაუბროს კი რა გამოულევდათ. მეც სულგანაბული ვუსმენდი. მასთან ხშირი შეხვედრა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ერთგვარი სკოლა იყო. მით უმეტეს, ბატონ ექვთიმეს ბოლომდე შემორჩა გასაოცარი მეხსიერება, ცოცხალი, გამჭრიახი და თავისებური აზროვნება. მე ყოველთვის მაოცებდა მისი ყოველგვარი ვითარების მუდამ ობიექტური შეფასება. მას ხელთ ჰქონდა უმდიდრესი არქივი, პირადიცა და ნაწილობრივ, მის მიერ შექმნილი „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისაც“, რომელიც ისევ ისე „ნიავმიუკარებელი“ ჩამოიტანა საქართველოში როგორც სამუზეუმო ქონება.

დაუდგრომელი მოხუცი ძალიან ჩქარობდა თავის ნაშრომთა გამოქვეყნებას. ვაი, თუ ყველაფერი ველარ მოვასწრო, ეს შიში უსაფუძვლო არ გამოდგა — ამოიოხრა ქალბატონმა გუგულიმ. ქალბატონ გუგულის მეუღლე, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი სამედიცინო პრეპარატის „კამელინის“ გამომგონებელი, ბრწყინვალე მეცნიერი და დამსახურებული ექიმი ბენედიქტე (ძაგულიძ მაღლაკელიძე გახლდათ.

„კამელინი“ რომ ელიარებინათ, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. შინაურ და გარეულ მოშურნეებს მედგრად უმკლავდებოდა ძაგული. ბატონ ექვთიმეს მოსწონდა ახალგაზრდა ექიმის შემართება და ხშირად ეუბნებოდა ახალგაზრდა მეცნიერს:

— მარტო ნიჭი არ კმარა მეცნიერული მუშაობისთვის. ნებისყოფაა საჭირო. შენ, როგორც ვხედავ, ყმაწვილო, არც ერთი გაკლია და არც მეორე. ამიტომ მჯერა, საწადელს აუცილებლად მიაღწევო. სამწუხაროდ, ჩემი მეუღლის წარმატებას ვერ მოესწრო.

მახსოვს, ერთ საღამოს, მამა და ბატონი ექვთიმე ჩაის მიირთმევდნენ და ძველებურად საუბრობდნენ, — აგრძელებს თხრობას ქალბატონი გუგული.

— გესმის? ჰაიდარ, სულ იმას ვშიშობდი, ის არ დაიკარგოს, არ წახდეს, ყველაფერი აღვწერო, რაც შეიძლება, მეტი გამოვცე, გადმოვილო, შევიძინო, შემოვაწირვინო, მუზეუმი შევქმნა, რომ შეინახოს ეს ყველაფერი-მეთქი და ასე მიდიოდა ჩემი მუშაობა... სად

# „ჩემი დოხტური“, ანუ ექვთიმე თაყაიშვილი

მქონდა იმის დრო ან საშუალება, რომ დავმჯდარიყავი და ნამდვილი გამოკვლევები მეწერა?! რაც გავაკეთე, ისიც მიკვირს! როგორ არ მეზარებოდა?! როგორ ვახერხებდი ამდენ რამეს, პირდაპირ საკვირველია! ამას ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ მერე გამოჩნდებოდნენ მკვლევარები და ყველაფერს შეისწავლიდნენ. მართლაც, აბა, რას იზამდა, თუ გინდა ჯავახიშვილი, თუ გინდა, სხვები, ეს რომ არ ყოფილიყო შეკრებილი და გამოცემული?! ისინი ხომ ჩემი გამოცემებით სარგებლობდნენ.

განსაკუთრებით მწარედ ახსოვს ქალბატონ გუგულის ის ერთი საღამო, როდესაც ბატონმა ექვთიმემ დედამისს, ქალბატონ მარგარიტას შესჩივლა: პარიზიდან მხოლოდ ერთი ხელი საცვლები წამოვიღე, დამეხა, ძალიან სავალალო მდგომარეობაში მაქვს. ხომ არ შეგიძლიათ, ახალი შემიკეროთ?!

ეტყობოდა, ძალიან უმძიმდა ამ სიტყვების თქმა მოხუცს, რადგან სულ აილეწა.

დედამ კერვა არ იცოდა, მაგრამ, უარის თქმა მოერიდა.

თუ რამეში გამოგადგებით, დიდი პატივია ჩემთვისო, — და დათანხმდა.

მახსოვს, დედა როგორ ნერვიულობდა, მიტკალი რომ ვერ იშოვა (დეფიციტი იყოძ. ბოლოს მოიფიქრა, ზეწარი გამოიტანა, მამის საცვლები დაადო, ფრთხილად გამოჭრა და ისე მონდომებით დაიწყო კერვა, თითქოს გაწაფული მკერავი ყოფილიყო.

ურიგო საცვლები არ გამოვიდა.

საოცარი სანახავი იყო, გახარებული ღვთის კაცი გულში ჩახუტებული დედას ნახელავით, არასდროს არ მავიწყდება, თითქოს მხნეობა მოემატაო, — ათასჯერ გიხდი მადლობას, ჩემო მარგარიტა, შენ არ იცი, რა სიკეთე მიქენიო, — უთხრა დედას და სვენებ-სვენებით აუყვა კიბეს.

სიცოცხლის ბოლომდე ის საცვლები ეცვა ბატონ ექვთიმეს, — ამოიოხრა ქალბატონმა გუგულიმ, — ეს ის დრო იყო, როცა ყველაზე ძალიან უჭირდა ბატონ ექვთიმეს. ლიდა — ექვთიმეს შვილობილი, მისი ცოლისძმის, ვექილ ალექსანდრე პოლტორაცკაიას მეუღლე, მისი მეურვე და მომვლელი, უკვე დაკავებული იყო.

მასთან სიარული ერთბაშად ყველამ შეწყვიტა, აბაშიძეებთანაც აღარ ჩამოდიოდა, მეცნიერებიც აღარ აკითხავდნენ. არავინ უწყის, მთავრობის განაწყენებას ერიდებოდნენ თუ ეშინოდათ, მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩენილიყვნენ.

— ეჰ, საშინელი დრო იყო, შვილო, — მეუბნებოდა ქალბატონი გუგული.

— აი, სწორედ მაშინ მიხმო მამაჩემმა და მითხრა:

— გუგული, ადი, ადი ექვთიმესთან. ხედავ, აღარ მეძახის, ალბათ, ავად არის ან ერიდება, ჩვენ შარში არ გაგვხვიოს, ადექი და მოუარე ექვთიმეს, შენ ექიმი ხარ და შენი ვალიაო.

თითქოს ფრთები გამომესხაო, დავავლე ხელი საჭმელს, წამლებს და სულმოუთქმელად ავირბინე კიბე. სათაყვანებელი მოხუცი, თავისი კახური ქუდით, ლოგინში წამომჯდარი დამხვდა.

მოვიდა ჩემი „დოხტური“ — სახე გაუნათდა მოხუცს, ასე მეძახდა. უცხოეთში გატარებულ მეოთხედ საუკუნეს უკვალოდ არ ჩაუვლია, ქვანახშირს არც არასოდეს ამბობდა, სულ „შარბონს“ უწოდებდა, ხშირად ლაპარაკობდა მასზე, რადგან, ძალიან მცივანა იყო და ავადმყოფობის მოშიში, რა თქმა უნდა, არც თუ უსაფუძვლოდ. მანქანა მისთვის „ფრანკი“, თვითმფრინავი „ავიონი“, ნავთი „პეტროლი“ იყო, „დოხტური“ კი „ხელუხ-



ლებლად“ ჩამოეტანა უკან. ექიმს, მგონი, არასოდეს ამბობდა.

ფილტვების ანთება ჰქონდა და ძალიან იყო დასუსტებული. პენიცილინის გაკეთება დავუწყე. ვცდილობდი, ოთახიც მიმელაგებინა. ქაღალდები, ჩანაწერები, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები ძალზე არეულ-დარეული ჰქონდა და დიდ საწერ მაგიდას ერთიანად უფარავდა. ვცდილობდი, დამელაგებინა მისი მაგიდა, გარეშე საგნები (ათასნაირი კოლოფები, კალმები, ფლაკონებიძ მაინც მომეშორებინა. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ძალიან არ უყვარდა, როცა ვინმე ურევდა ხელს მის საქაღალდეებში.

სულ მალე თითქოს გამოჯანმრთელდა, ძალა მიეცა. ერთ დღესაც ლოგინიდან წამომდგარი დამხვდა და მითხრა: ძეგლი უნდა აუგო იმას, ვინც პენიცილინი გამოიგონა. შენ კი ნამდვილად გეკუთვნის საჩუქარიო და კარადიდან ულამაზესი კოლოფი გამოიღო: — გუგული, შვილო, ეს ჩემი მეუღლის ნივთია, რომელსაც სათუთად ვინახავ, ვერავისთვის ვიმეტებდი, აი, შენ კი ნამდვილად ღირსი ხარ ამ საჩუქრისო.

გულში ჩავიკარი მოხუცი და თავქუდმოგლეჯილმა ჩავირბინე კიბე, შევედი თუ არა სახლში, მაშინვე გავხსენი კოლოფი, სადაც უძვირფასესი ფრანგული სუნამო იდო.

მამამ მისაყვედურა, — რა გეჩქარებოდა? ეტყობა, შენ ჯერ კიდევ არ იცი, ვინ არის ექვთიმე თაყაიშვილი, მის ნაჩუქარს მთელი სიცოცხლე უნდა გაფრთხილებოდიო.

ერთი ჩეკისტი, მაღალი, შავგვრემანი, სონღულაშვილი იყო გვარად, ხშირად მიდიოდა მასთან და მეც ალმაცერად მიყურებდა. მაგრამ, არაფრის მეშინოდა, გარდაცვალებამდე არ მიმიტოვებია მოხუცი და როგორც შემეძლო, ისე ვუვლიდი. თავისუფალ დროს სულ მასთან ვატარებდი. როცა გარდაიცვალა, ჩვენი უზარმაზარი ეზოდან მხოლოდ ერთმა სომეხმა (ნიკოგსოვი იყო გვარადძ გააცილა ექვთიმე საბოლოო გზაზე. მე გულდაწყვეტილი გავცქეროდი ჩემი უსაყვარლესი ადამიანის პროცესიას, რომელსაც გზად მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეემატა.

ეს მაშინ. მერე, დრო რომ გავიდა, იცოცხლე, არც იუბილეებს აკლებდნენ და არც დაბადების დღეების აღნიშვნას. ისე კი, როგორ გამოასალმეს ამ წუთისოფელს.

დამიგდე ყური, შვილი, — მითხრა ქალბატონმა გუგულიმ და ხელი მაგრად მომკიდა, — დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ არ არის, ექვთიმე საქართველოს დიდ ათეულშია. ეჰ, საოცარი ხალხი ვართ ქართველები. როგორ გულმოკლული გაუშვეს იმ ქვეყნად, ახლა კი წმინდანად შერაცხეს.

აი, ასე საინტერესოდ მოგვითხრო გარდასულ დღეთა ამბები უკვე ოთხმოცდაათ წელს გადაბიჯებულმა ქალბატონმა გუგულიმ, რომლისთვის დროს ვერაფერი დაუკლია. რაც მთავარია, არც მეხსიერება წაურთმევია.

— რა სახის ოპერაცია არ გამიკეთებიაო, — მითხრა და ხელებზე დაიხედა. ახლა უკვე დავბერდი და მოგონებებით და ამათი ბედნიერებით ვხაროზო, ოთახში შემოსულ შვილიშვილებს მიეალერსა, თან დასძინა, ისიც ძალიან მესიამოვნა, მამაჩემი და ჩემი მეუღლეც რომ მოხვდნენ 50 ღირსეულ ადამიანს შორის.

დავემშვიდობე ქალბატონ გუგულის და თან გამომყვა ჯერ კიდევ სხივჩაუმქრალი მისი ცისფერი თვალების სითბო. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს.

**მარადი ანასაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკა საქართველოში სამხედრო მიწოდებებს ყინავს

**ობამას ადმინისტრაცია დაჰყვა რუსეთის დაჟინებულ ზემოქმედებას და „პოლიტიკის გადასინჯვის“ ფარგლებში საიდუმლოდ შეაჩერა ამერიკის მთელი სამხედრო ექსპორტი საქართველოში, ამავე დროს არ დააზუსტა, თუ როდის დამთავრდება ეს მიწოდებანი და რისი ექსპორტი იქნება ნებადართული შემდგომში საქართველოში.**



როგორც ამერიკის წყაროებმა გვაცნობეს, ეს გადასინჯვა ისეთ საიდუმლო ვითარებაში მოხდა, რომ თავდაცვის სამინისტროშიც კი, რომელიც განიხილავს ხოლმე საექსპერტო მიწოდებებს ეროვნული უშიშროების შესაბამისად, მის შესახებ არაფერი იცოდნენ. თავად სამინისტრომ რეკომენდაცია მისცა, მოიწონონ განაცხადები შეიარაღების მიწოდებაზე საქართველოში. კანონით მსგავსი განაცხადების მხარდაჭერის საკითხში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელიც ხელმძღვანელობს „საერთაშორისო პოლიტიკის“ თვალსაზრისით. მას აქვს უფლება უარყოს განაცხადი, თუ თავდაცვის სამინისტრო ეროვნული უშიშროების თვალსაზრისიდან გამომდინარეობს და იძლევა მისი მხარდაჭერის რეკომენდაციას.

ამ დროს რუსეთი აგრძელებს საქართველოს დაშინებას, სადაც უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სწავლება 15 ქვეყნის მონაწილეობით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სწავლებას „საეჭვო“ და „პროვოკაციული“ უწოდა.

ნატომ გადაწყვიტა მოეწყო მანევრები რუსეთის დაშინების მიუხედავად, რათა გამოეხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოსთვის, რომელიც ისწრაფვის უშიშროების დასავლური ორგანიზაციისკენ. იმის გამო, რომ რუსეთი აშინებდა საქართველოსა და ევროპას, მოითხოვდა ნატოსგან, არ დაეშვან საქართველოში თავისი ჯარისკაცები, გასულ მარტში ნატომ არ მიიღო საქართველო თავის რიგებში, მაგრამ ღიად დატოვა გაწევრების პერსპექტივა სამომავლოდ. იმისთვის, რომ გამოეხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოსთვის რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებით შარშან აგვისტოში, ნატომ გადაწყვიტა მოეწყო ამ ქვეყანაში სამხედრო სწავლება. თუმცა ქვეყანა ჯერჯერობით არ შედის ალიანსის შემადგენლობაში.

შარშან აგვისტოში რუსეთი შეიჭრა საქართველოში, მოახდინა მისი ორი სეპარატისტული პროვინციის – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაცია. შემდეგ მან უმალვე აღიარა მათი „დამოუკიდებლობა“ და აიძულა ეს პროვინციები, მოეწვიათ იგი უზრუნველეყო მათი საზღვრების უსაფრთხოება. შედეგად, ორივე პროვინციაში რუსეთმა განათავსა ტანკები, აფხაზეთში კი საზღვაო და საჰაერო ბაზებიც კი.

რუსეთი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მას აქვს უფლება, იქონიოს ზემოქმედება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მომხდარ ამბებზე, მათ შორის საქართველოშიც. მოსკოვი გაბოროტებით აცხადებს პროტესტს საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ ამ ორგანიზაციას აქვს ექსპანსიური მიზნები რეგიონებზე, რომლებიც, მოსკოვის აზრით, შედიან რუსეთის გავლენის სფეროში.

„ობამას ადმინისტრაცია უთმობს რუსებს, – განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა. – ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ნებას ვაძლევთ რუსებს გააკონტროლონ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური ინტერესები“.

შარშან აგვისტომდე და რუსეთის შეჭრამდე ამერიკის შეერთებული შტატები იყო სამხედრო შეიარაღების დიდი მიმწოდებელი საქართველოში და ამას გარდა უზრუნველყოფდა მისი სამხედროების მომზადებას. ამასთან, მიწოდებული შეიარაღება გათვალისწინებული იყო ძირითადად აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის და თავდაცვის მიზნებისთვის, სინამდვილეში კი რუსეთის დაშინების წინააღმდეგ.

ჯოზეფ ფარა

WorldNetDaily

# საქართველო აცხადებს, რომ რუსეთი გაეროს გენერალურ მდივანს აშანტაჟებს

**ოთხშაბათს საქართველო გამოვიდა თავდასხმით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთის მისამართით, ბრალი დასდო მოსკოვს იმაში, რომ იგი აშანტაჟებდა გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს, აიძულა იგი შეეტანა არსებითი ცვლილებები თავის უკანასკნელ მოხსენებაში ამ სახელმწიფოს შესახებ კავკასიაში.**

18 მაისს პან გი მუნმა აღწერა იქ შექმნილი სიტუაცია უშიშროების სფეროში და გამოვიდა რეკომენდაციით მყისიერი მშვიდობის შენარჩუნების შესახებ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასა და მისგან გამოყოფილ ორ რეგიონს – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის.

ამავე დროს იმისგან განსხვავებით, რომ წარსულში აფხაზეთი ყოველთვის მოიხსენიებოდა როგორც საქართველოს ნაწილი, პან გი მუნის უკანასკნელ მოხსენებაში, რომელიც წარედგინა გაეროს უშიშროების საბჭოს, ასეთი ფორმულირება უკვე აღარ არსებობს. აფხაზეთი წინააღმდეგია ნებისმიერი მინიშნებისაც კი იმაზე, რომ ის იმყოფება თბილისის კონტროლის ქვეშ, რუსეთი კი აქტიურად უჭერს მხარს ამ პოზიციას.

მართალია, დავა მიდის ფორმულირებათა სტილის შესახებ გაეროს მოხსენებაში, იგი ხაზგასმით აღნიშნავს მტრობის სიღრმეს, რომელიც შენარჩუნებულია ნატოსკენ მსწრაფ საქართველოსა და მის ყოფილ მფლობელ რუსეთს შორის, რომელიც შეიჭრა თავისი სამხრეთელი მეზობლის საზღვრებში შარშანდელი აგვისტოს ომის დროს.

„ის ფაქტი, რომ გაეროს სამდივნო დაჰყვა რუსეთის შანტაჟს, იწვევს დიდ მწუხარებასა და განგაშს“, – განაცხადა საქართველოს წარმომადგენელმა გაეროში ალექსანდრე ლომაიამ.

პან გი მუნის მოხსენებაში შემოთავაზებულია კომპრომისი, რაც რუსეთსა და ორ თვითგამოცხადებულ რეგიონს აძლევს უფლებას, კვლავ შეუდგნენ მოლაპარაკებას ჟენევაში უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა დატოვეს ეს მოლაპარაკება აფხაზეთთან სოლიდარობის ნიშნით.

„ჩვენ გვაღელვებს ის ფაქტი, რომ რუსეთმა გამოიყენა ჟენევის მოლაპარაკების უკანასკნელი რაუნდი მოხსენების სახელწოდებისა და შინაარსის შესაცვლელად“, – განაცხადა ლომაიამ.



თბილისი ამას მიიჩნევს თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და ნიკარაგუამ.

ელვისებური ომი საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონისთვის. მან გამოიწვია დასავლეთის ქვეყნების აქტიური დაინტერესება, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებანი საფრთხეს უქმნიდა კასპიის ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტს, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით გადიოდა.

აფხაზეთში გაეროს მისიის მუშაობის ვადა, რომელშიც შედიან 129 სამხედრო მეთვალყურე და 16 პოლიციის მრჩეველი, გადის 15 ივნისს. უშიშროების საბჭომ ან უნდა გააგრძელოს მისიის მანდატი ახალი რეზოლუციის მიღებით, ანდა გამოიყვანოს იგი აფხაზეთიდან.

„მან (რუსეთმაძ უთხრა მას (პან გი მუნსძ, რომ ვეტოს დაადებს ამ რეზოლუციას“, – განაცხადა ლომაიამ, რომელმაც მიუთითა წყაროზე გაეროს გენერალური მდივნის სამდივნოში. ამ წყაროს დასახელებაზე მან უარი განაცხადა.

რუსეთმა უარყო ლომაიას მტკიცებანი. „ჩვენ უარვყოფთ იმ ცრუ ბრალდებებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მოვლენათა ნამდვილ ვითარებასთან“, – განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა. პან გი მუნის კანცელარიაში „როიტერის“ შეკითხვაზე მოიყვანეს ციტატა გაეროს წესდებიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია და არც მიიღებს მითითებებს რომელიმე სახელმწიფოდან.

„გადაწყვეტილება მოხსენების დასახელების შეცვლის შესახებ მიიღო თავად გენერალურმა მდივანმა, – განაცხადა გაეროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. – ის ცდილობდა მოენახა ნეიტრალური დასახელება, რომელიც მისაღები იქნებოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაკლებად საწყენი იქნებოდა შესაბამისი მხარეებისთვის“.

დანიელ ბეისისი

REUTERS

## დედამიწის ზურგზე



**პენტაგონი ქმნის სარდლობას კიბერსივრცეში ომის შემთხვევისთვის**

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება დაიწყებს მზადებას არა მხოლოდ თავდაცვისთვის, არამედ თავდასხმისთვისაც. ამას გარდა, პარასკევს პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოაცხადებს სამოქალაქო სამმართველოს შექმნის შესახებ მთავრობის ბანკების, ბირჟებისა და აეროპორტების კომპიუტერების დასაცავად.

* * *

**გერმანიაში ნება დართეს, განკურნონ ნარკომანები ჰეროინით**

გადაწყვეტილება მოიწონა პარლამენტმა. მომხრეები ამტკიცებენ, რომ ასეთი თერაპია, რასაც თან ახლავს ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერა, მთლიანად და საერთოდ იძლევა დადებით შედეგებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მიაღწიეს იმას, რომ ბევრმა თავი დააღწია ნარკოდამოკიდებულებას.

* * *

**აბასთან შეხვედრის შემდეგ ობამამ მოუწოდა ისრაელს, შეასრულოს ვალდებულებანი, პალესტინელებს კი – შეამსუბუქოს ანტიისრაელური რიტორიკა**



ამერიკის ლიდერმა შეახსენა ისრაელს, რომ მან იკისრა ვალდებულება, შეაჩეროს ახალ დასახლებათა მშენებლობა ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე. ობამა დარწმუნებულია, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ხელს შეუწყობს ისრაელში უშიშროების განმტკიცებას.

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე მიდის იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთსა და რუსეთის ფედერაციაში, რათა განიხილოს სიტუაცია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით**

ჯეიმს სტეინბერგთან ერთად ამ ქვეყნებში ჩავა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელშიც შედიან თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები და ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალი ჯეიმს კარტლაიტი.

* * *

**ინდონეზიაში მოხდა 5,8 ბალის სიძლიერის მიწისძვრა**

მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი იმყოფებოდა ამბონის პროვინციის დედაქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთში 57 კილომეტრზე. კერის სიღრმე 10 კილომეტრზეა. გაფრთხილება ცუნამის შესახებ არ შემოსულა.

* * *

**ავსტრალიამ სამხედრო გემები და თვითმფრინავი გაგზავნა სომალიში ზღვის მეკობრეებთან საბრძოლველად**

ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატი პატრულირებას გაუკეთებს სპარსეთის ყურეს. მხარდაჭერას ჰაერიდან განახორციელებს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი. დამატებით კანბერა უზრუნველყოფს სამხედრო პატრულებს თავისი სამხედრო მოსამსახურეებით ანტიმეკობრული კამპანიის ფარგლებში.



## ღირსეულნი



**საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ივლისის ბრძანებულების თანახმად განახლდა ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების გაცემა.**

კონკურსი ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად 2 წელიწადში ერთხელ ცხადდება.

სპეციალური კომისიის 12 წევრის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარედგინა კანდიდატები. მათგან წლევანდელი წლის პრემიის მფლობელთა ვინაობა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში თავად პრეზიდენტმა გაამხილა.

შოთა რუსთაველის პრემია სამ პირს მიენიჭა: მხატვარ **ჯიბსონ ხუნდაძეს,** არქიტექტორ **ვაჟა ორბელაძესა** და პოეტ **იზა ორჯონიკიძეს.**

**ცნობისთვის.** საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია გაიცემა შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, კინოხელოვნება, სახვითი ხელოვნება, თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

# ორი პრემიის ლაურეატები

პრემიათა გაცემა-დაჯილდოებას გარკვეული კონკრეტიკაც ახლდა. ვინ, რისთვის და რატომ დაიმსახურა აღნიშნული და რამდენადაც ცნობილი გახდა, წელს საკმაოდ ბევრისთვის სასურველი პრემია. კონკრეტიკა ამგვარია:

**1. იზა ორჯონიკიძე – პოეტური კრებულისათვის „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა" და ასევე მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.**

**2. ვაჟა ორბელაძე – 2007 წელს სიღნაღის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის.**

**3. ჯიბსონ ხუნდაძე – ფერწერული ტილოსათვის „აპოკალიფსი", მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.**

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება ხდება 2 წელიწადში ერთხელ.

გაიცემა არა უმეტეს 3 პრემიისა, თითოეული 15 000 ლარის ოდენობით, ოქროს მედლით, ლაურეატის სამკერდე ნიშნით, მოწმობითა და დიპლომით.

თუმცა, დაჯილდოების ცერემონია კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში რუსთველის სახელობის პრემიით გაცემით არ დასრულებულა. გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საქართველოს ეროვნული პრემიის მფლობელებიც.

**1. ფიზიკოსთა ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენენ – ვახტანგ გარსევანიშვილი, ანზორ ხელაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, მიხეილ ნიორაძე.**

ჯგუფი გამოარჩიეს სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის „სინათლის ფრონტის ფორმალიზმი შედგენილი სისტემებისათვის და მისი ზოგიერთი გამოყენება ნაწილაკთა და რელატივისტურ ბირთვულ ფიზიკაში".

2. ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა მეცნიერთა მეორე გაერთიანება, ასევე **ფიზიკოსები: ავთანდილ ამირანაშვილი, კუკური თავართქილაძე, ნოდარ ბეგალიშვილი,** – სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის „საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილებების ემპირიული მოდელი, ჰავის თანამედროვე ცვლილებები საქართველოში".

ამ ორი სამეცნიერო ჯგუფის გარდა საქართველოს ეროვნული პრემია საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ხუთ ადამიანს გადასცა, ოღონდ ამჯერად ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს.

**ემირ ბურჯანაძე – მხატვარი, გრაფიკოსი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.**

**თემურ ქევხიშვილი – ლოტბარი, მომღერალი. 2008 წელს გამოცემული ხალხური სოლო სიმღერების ჩანაწერისათვის და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.**

**მანანა ახმეტელი – მუსიკათმცოდნე. პუბლიცისტური კრებულისათვის „ცხოვრება ხელოვნებაში".**

**ომარ მხეიძე – მოცეკვავე, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.**

**ზურაბ ნიჟარაძე – მხატვარი. ბოლო წლებში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებისათვის.**

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატს გადაეცა დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

# შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი" აცხადებს კონკურსს

## კოლეჯის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის არასასწავლო დანიშნულების 180 კვ.მ-ის და სარდაფის 266 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ

*ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:*

- *საიჯარო ქონების ადგილმდებარეობა* – ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №138 (კოლეჯის ადმინისტრაციული შენობა);
- *იჯარით გასაცემი ფართი* – პირველი სართულის 180 კვ.მ. და სარდაფი 266 კვ.მ. ფართი;
- *დამატებითი პირობა*: – მოიჯარე ვალდებულია პირველ რიგში განახორციელოს მზიდი კედლების გამაგრებითი სამუშაოები და ფართების კეთილმოწყობა;
- საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 7700 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
- „ბე" - 1000 ლარი;
- იჯარის ვადა 5 წელი;
- *განცხადების მიღების ადგილი*: – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №138, კოლეჯის ადმინისტრაციული შენობა, მე-2 სრთული; ტელ: 56 37 13; 56 63 71;
- *განაცხადების მიღების ვადა*: 2009 წლის 15 ივნისის ჩათვლით, 10 საათიდან 18 საათამდე;
- *კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი*: – მონაწილეთა წინადადებების შემცველი დახურული კონვერტების გახსნის თარიღი – 2009 წლის 16 ივნისს 14 საათზე ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №138, კოლეჯის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, დირექციაში;
- შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯის" საბანკო რეკვიზიტები - სს „თიბისი ბანკი" ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზირის სც№1 ფილიალი, ა/ა №48336020200001, ბანკის კოდი 220101819წ., საიდენტიფიკაციო კოდი 202452121. მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი №138;

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. *კონკურსის პირობები*

2.1. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა;

2.2. მოიჯარე ვალდებულია პირადი პასუხისმგებლობით პირველ რიგში შეასრულოს იჯარით აღებული ფართის მზიდი კედლების გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოები, შესაბამისი პროექტით და დადგენილი წესით;

2.3. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა;

2.4. იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2.5. მოიჯარის მიერ იჯარით აღებულ ფართზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოებით შექმნილი ქონება წარმოადგენს კოლეჯის ძირითად საშუალებას, აღირიცხება კაპიტალის საერთო ღირებულებაში და საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ იგი რჩება კოლეჯის საკუთრებაში და მოიჯარეს მასზე პრეტენზიის უფლება არ გააჩნია;

2.6. ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1 /875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომა. ასევე პატივსადები მიზეზის არსებობისას შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

3. *საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმებია:*

- საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

4. *იჯარის ხელშეკრულების დადება*

4.1. კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება;

4.2. მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა;

4.3. „მოიჯარე" ვალდებულია ყოველ სამ თვეში ერთხელ შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯს" წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

4.4. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ამასთან თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი (ყოველთვიური საიჯარო ქირის) თანხის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე);

4.5. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი"-ს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. *კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

5.1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

5.2. ერთი წლის საიჯარო ქირის საბანკო გარანტია;

5.3. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის მითითებით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება);

5.4. „ბე"-ს გადახდის ქვითარი - „ბე" გადაიხდება შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი"-ს ანგარიშსწორების ანგარიშზე საბანკო რეკვიზიტების მიხედვით;

5.5. კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

5.6. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5.7. კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;

5.8. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას, ამასთან მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე;

5.9. გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს, ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადებების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

5.10. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან, დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

6. *შენიშვნები და დათქმები*

6.1. მოიჯარეს გადახდილი „ბე" ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას;

6.2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება;

6.3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით;

6.4. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე;

6.5. კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადახდილი „ბე" არ დაუბრუნდებათ.

***საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯში". ტელ: 56 37 13; 56 63 71.***

**პოლონეთში – ფესტივალზე**

# შალიკაშვილი წმინდა გიორგის მადლს დაატარებს



**ორშაბათს, 1 ივნისს პოლონეთში, ქალაქ ვრაცლავში იხსნება ევროპის მიმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელზეც მიწვეულია თბილისის პანტომიმის თეატრი. ამ ფაქტის გამო გვესაუბრება პანტომიმის თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ქართული პანტომიმის დიდოსტატი ამირან შალიკაშვილი:**

– ფესტივალზე 27 ქვეყანაა წარდგენილი – პოლონეთი, საბერძნეთი, ბელორუსია, იტალია და სხვები...

**– თქვენს თეატრს ფესტივალები და გასტროლები არ უკვირს. თუ არის რაიმეთი გამორჩეული ეს ფესტივალი?**

– შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩვენი თეატრის მთელი დასი – 25 კაცი – პირველად გადის საზღვარგარეთ და, თანაც, სპექტაკლით – **„წმინდა გიორგი“**. გვაფინანსებს კულტურის სამინისტრო და მერიის კულტურის სამსახური, ხოლო, ასე ვთქვათ, შიდა ხარჯებს – სასტუმროს, ტრანსპორტს, კვებას... თავის თავზე იღებს პოლონეთის მხარე.

**– თუ წარმატებას მიაღწიეთ, რაიმე ფულადი პრემიაც ხომ არ იქნება?**

– ჩვენ გვერგო ფესტივალის დახურვის პატივი 6 ივნისს. თემაც ჩვენი სპექტაკლისა – წმინდა გიორგი – ძალიან დამაინტრიგებელია... ვნახოთ, თუ წარმატებას მივაღწიეთ, როგორც ვიცი, ფულად პრემიასაც უნდა გამოვკრათ ხელი...

**– როგორც ვიცი, თქვენი თეატრი პოლონეთში ადრეც იყო...**

– კი, ჩვენ გვქონდა გასტროლები. იქ გვყავდა ძმაკაცი, აწ გარდაცვლილი რეჟისორი ტომაშევსკი – პოლონეთის მიმების თეატრის დამაარსებელი... ახლა მისი ვაჟიშვილი ხელმძღვანელობს თეატრს და ძალიან უნდა ჩვენთან ურთიერთობის გაბმა. ჩვენც, ალბათ, მოვიწვევთ თბილისში, რითაც მეგობრობა, ცხადია, განმტკიცდება.

**– მაშ, წარმატებას გისურვებთ!**

– დიდი მადლობა.

ესაუბრა
**ალუდა ნიქაბაძე.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლისა „წმინდა გიორგი“**

**ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...**

# კურიოზების ქვეყანა

● ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა მსოფლიოში საქართველოა, რადგან სულიერ ავადმყოფსაც ირჩევენ პრეზიდენტად.

● ყველაზე პირველი პრეზიდენტი, რომელიც გინესების წიგნში შევა, საქართველოს პრეზიდენტია – მას თვითმფრინავში იმდენი დრო აქვს გატარებული, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის ყველა სტიუარდესას ერთად.

● ყველაზე თვინიერი და დემოკრატი ხალხი მსოფლიოში ქართველები ვართ, რადგან შტურმით არ ვიღებთ სახელმწიფო კანცელარიას, პარლამენტის შენობას, პრეზიდენტის რეზიდენციასა და მერიას... იქ არავინ არ არის და ვის რად უნდა ცარიელი შენობა.

● ყველაზე მისაბაძი ხალხი თბილისში ცხოვრობს. მათ მიბაძეს ნიუ-იორკელებმა და მანჰეტენზე ერთდროულად ხუთი ქუჩა გადაკეტეს, გამოიტანეს შეზლონგები და მზეზე ირუჯებიან, თან არაფერს ითხოვენ.



● ყველაზე ოპტიმისტი მთავრობა ქართველებს ჰყავთ, რომელსაც სჯერა, რომ ოთხმილიონიან ქვეყანაში ასი კაცის გარდა ყველა დამშეულია, თუმცა ეკონომიკისა და განვითარების დონით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ.

● მათემატიკის განხრით ყველაზე უცოდინარი ქვეყანა საქართველოა, რადგან თუ პრეზიდენტსა და მის მომხრეებს დავუჯერებთ, ასი ათასი კაცი იგივეა, რაც ხუთასი.

● ყველაზე თავდაცვისუნარიანი ქვეყანა მსოფლიოში საქართველოა. იგი სამხედრო შეიარაღებაზე ბიუჯეტიდან სხვა ქვეყნებთან შედარებით ათჯერ მეტს ხარჯავს, სამაგიეროდ ომს ორ დღეში აგებს.

● ყველაზე მეტეოპროგნოზირებადი ქვეყანა მსოფლიოში საქართველოა, რადგან სამთავრობო ტელეარხების მიხედვით ამინდის პროგნოზი დამოკიდებულია მიტინგების ხანგრძლივობაზე.

● ყველაზე ძლიერი მთავარსარდალი საქართველოსა ჰყავს. თუ დიდი მხედარმთავარი სუვოროვი სარდლებს „ცხელი ფაფის ჭამის“ პრინციპით ირჩევდა, ჩვენი მთავარსარდალი ჰალსტუხის ჭამით ერთობა.

● ყველაზე უჩინმაჩინი თავდაცვის მინისტრი საქართველოს ჰყავს, თუ პიპინიამ პორტ-არტურიდან საკუთარ ცხენს გამოასწრო, კეზერაშვილი ომის დროს საერთოდ ვერ იპოვეს, სამაგიეროდ წაგებული ორდღიანი ომის შემდეგ იგი საცხენოსნო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარედ დანიშნეს.

● ყველაზე გურმანი პრეზიდენტი მსოფლიოში ქართველებსა ჰყავს, მას შეუძლია ერთნაირად დააგემოვნოს სუში და საკუთარი ჰალსტუხი.

● მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული და თავისუფალი ტელეკომპანია საქართველოშია – „რუსთავი 2“-ს ჟურნალისტად ვირიც კი ჰყავს მოწვეული.

კურიოზები შეკრიბა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

**თითქმის ნატურიდან**

# ბანჯო ნამუსმა შეაწუხა

– მიხავ, ჰაი, მიხავ! – გასძახა შაქრიამ აივნიდან მეზობელს, – ბანჯო დაბრუნდა?

– დაბრუნდა მაშა, აბა იქ ხო არ დარჩებოდა?

– კარგადაც მოქცეულა, – მოიწონა შაქრიამ, – აქ ამდენი საქმეა და ქალაქში რა უნდა ეკეთებინა?

– იი, საქმე იქ არი თუ არი, ჩემო შაქრი, ვერა ხედავ ქვეყანაში რა არეულობაა?

– მერე, ბანჯო რომელი ვანო მყავს, რო არეულობა მოეწესრიგებინა?



– შენ მაგრე გეგონოს. ბანჯო ვანო არ არი, მაგრამ ვანოს უშუალო მითითებით მოქმედებდა.

– მაიცა, მაიცა, – შეცბა შაქრია, – გამაგებინე, ეგა სპეცრაზმში იყო თუ ტელევიზორში მუშაობდა?

– ნუ იცი ეგეთი აბდაუბდა ლაპარაკი, ჯო, დაფიქრდი და ისე თქვი.

– რაზე მეუბნები?

– როგორ თუ რაზე, ბანჯოს გადაცემებს ხო პირადად უყურებდი?

– კი ვუყურებდი, მაგრამა, იმ ვირსა, ჩემო ძმაო, ბანჯო კი არა სანდრო ერქვა, მოდნი გასტუკი ეკეთა და კაი დალაგებული ინტელიგენტივით ლაპარაკობდა. ერთადერთი, რითაც შეიძლება მეცნო, ის იყო, რო ყურებს მართლა ბანჯოსავით ატყაპუნებდა.

– ეგრე იყო საჭირო და იმიტომა. ბანჯო აქ იყო ვირი, თორემა იქ ცნობილი ტელეწამყვანის როლს ასრულებდა. სახელიც იმიტომ გამოიცვალა და ინტელიგენტურად გამოიპრანჭა, რო მის ცოდნა-განათლებაში ეჭვი არავის შეეპარვოდა.

– მივხვდი, ყველაფერს მივხვდი, – ხელები ასწია შაქრიამ.

– ე მაგრე რა!

– ესე იგი, გინდა თქვა, რო ბანჯო ვანოს ჭკუით გვეპროპაგანდებოდა?

– აბა რას გეუბნები, ის ტელეკომპანია ხო ვანოს კერძო დუქანია.

– გასაგებია, მაგრამა თავად ვანო ვიღას ჭკუით მოქმედებს?

– მაგას რა მიხვედრა უნდა, მთავრობაში დღეს ყველა მიშას ჭკუით იკვებება.

– გამოდის, რო ბანჯო, მიშასაც ხვდებოდა?

– ხვდებოდა რომელია, სუშის საჭმელად თურმე სუ ერთად დადიოდნენ.

– აა, ახლა ვხვდები, – შუბლზე ხელი იტკიცა შაქრიამ.

– რასა ხვდები?

– რესტორანში მისულ მიშას დემონსტრანტები, ეტყობა, ბანჯოს ყროყინის ხმაზე აგნებდნენ!!!

– შეიძლება, დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა მიხამ.

– ხედამ, შენც არაფერი იცი დაზუსტებით, – მომენტით ისარგებლა შაქრიამ, – ჩემთვინ, მაგალითად, ისიც გაუგებარია, მთავრობას ვირის ავტორიტეტი რაში დასჭირდა?

– ამერიკელებს რაში დასჭირდათ, ამაზე არ გიფიქრია? არც იმაზე, ობამას პარტიას, რომელიც ახლა ხელისუფლების სათავეშია, ვირი ემბლემად რატომა ჰყავს.

– ვითომ ვირი მაგარი დემოკრატიაო?

– ვითომ კი არა, ეგრეა. მიშას რას გამოაპარებ, ბანჯო სწორედ ამერიკელთა მოსათაფლავად მიიწვია ტელევიზიაში.

– აა, მაგიტომ იძახდა ბანჯო, ლობის აქეთაც მე ვაბივარ და იქითაცო? მივხვდი, დემოკრატობანას თამაშობდა, არა?

– ჰო, ვითომ მთავრობის მხარესაც იჭერდა და ოპოზიციისასაც, მაგრამ სინამდვილეში ნაციონალებს საკუთარი ლობის შინით ჰყავდათ დაბმული.

– მერე, ამას ვერ მიუხვდნენ ოპოზიციის ლიდერები?

– რო მიუხვდნენ, მაგიტო მოუწყვეს ჟურნალისტებს სირცხვილის კორიდორები.

– რა ვიცი, იხტიბარი კი არავინ გაიტეხა და...

– იმათ რას უყურებ, ბანჯო აჩაინი ვირია, ნამუსმა შეაწუხა და გადადგა.

– მაგრამ დემონსტრაციები რო ისევ გრძელდება?

– ვა, ეს ვინ არი, ჯო, ბანჯო გადადგა, მიშა ხო არა!

– მარტო გადადგომა რას უშველის, – იწყინა შაქრიამ, – რატო ოპოზიციის მხარეზე არ დადგა?

– კი დადგა, საკანშიც იჯდა, მაგრამ ველარ გაუძლო...

– რას ვერ გაუძლო, ჯო, აკი კაი კვება აქვთო?

– საკვები კი იყოო თავსაყრელად, მაგრამ ტუალეტი არ ჰქონიათ. ორი სუტკა ითმინა თურმე ბანჯომ, მაგრამ გასაჭირს ველარ გაუძლო და გამოიქცა.

– ახლა რა უნდა აკეთოს?

– საქმის მეტი რა მაქ, ჯო, ამ ზაფხულს ჩემთან ვამუშავებ, შემოდგომაზე კი (მანამდე მიშა თუ არ გადადგა), ისევ ქალაქს ეწვევა.

– მერე ტუალეტი?

– მანამდე საკნებში ტუალეტებსაც დადგამენ, ჯო, აბა ამხელა დიალოგი რისთვის მიდის?!

**ოტია ჩართოლანი**

**ინფორმაცია**

# შიმშილობს ომის ვეტერანი

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მისაღებში, სამამულო ომის ვეტერანმა და I ჯგუფის ინვალიდმა, 80 წლის მიშა ხიმშიაშვილმა, პროტესტის ნიშნად, გუშინ შიმშილობა დაიწყო.**

– როგორც ხიმშიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, იგი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი და გამგებელთან დახმარების მიზნით შეხვედრას უკვე მეორე თვეა უშედეგოდ ცდილობს. მდივანი მის სამუშაო ოთახში იმ მიზეზით არ მიშვებს, რომ გამგებელს შენთვის არ სცალიაო. თავშესაფარი არ მაქვს, ღია ცის ქვეშ ვცხოვრობ და გამგეობისგან ვითხოვ, სადმე მიტოვებულ შენობაში ერთი ოთახი გამომიყონ, სადაც წვიმა არ ჩამოდის, – განაცხადა მიშა ხიმშიაშვილმა.

უსახლკარო მოხუცის პრეტენზიებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ჩივიაშვილი კომენტარს არ აკეთებს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტს თვითმხილველებმა განუცხადეს, გამგებლის მოადგილე გოგა პეტრუზაშვილმა მიშა ხიმშიაშვილი ფიზიკური ძალის გამოყენებით მანქანაში ჩასვა და სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში ნათესავის სახლში წაიყვანა.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

პროგნოზი

# მივა? – არ (ვერ) მივა!



**დღეს 20 საათზე ლაშა სილაგავას სასტვენის ხმაზე ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაიწყება დავით ყიფიანის „ყაზბეგის თასის“ გათამაშების ფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „ოლიმპს“ შორის.**

მაინც, როგორ კორიფეთა გვარები ვახსენეთ ზემოთ, არა? დიახ, დიდი მიშა და „ყიფო“ მართლაც რომ ფეხბურთის ცისკიდურზე აკიაფებული მარად კაშკაშა ვარსკვლავები არიან. მათ გვერდით არც ახალგაზრდა მსაჯის, ახლო წარსულში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრის ელგუჯა სილაგავას ღირსეული ვაჟის ლაშას დასახელება მიგვაჩნია მკრეხელობად, რადგან მას საზოგადოებისთვის ჯერ არაფერი დაუშავებია და, ვიმედოვნებთ, მომავალშიც მოუფრთხილდება საკუთარ და კოლეგათა რეპუტაციას. მაშ, რამ ამაღებინა ხელში კალამი?

მსურს, თქვენთან ერთად ვივარაუდო, დაესწრება თუ არა სეზონის დასკვნით აკორდს ქვეყნის თავქეიფა პრეზიდენტი.

თუ ჩემი ფსონი გაინტერესებთ, სოლიდურ „კუშს“ გთავაზობთ, რომ ვერ გაბედავს. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

ახლახან თინეიჯერმა თანამემამულეებმა იპოდრომიდან სტვენითა და გინებით გამოაბუნძულეს „ალტერვიზიის“ დამაგვირგვინებელ საღამოზე პოლიტიკური ქულების დასაწერად მიბრძანებული „მაგარი“ მთავარსარდალი, რომელიც 26 მაისს თვისტომთა რისხვის შიშით საერთოდ არ გამოჩნდა „დინამოს“ სტადიონზე მოწყობილ საერთო-სახალხო თავყრილობაზე.

კი მაგრამ, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე ხომ დააფიქსირეს ტელეკამერებმაო – იკითხავთ, ალბათ.

ჯერ ერთი, იქ უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის, VIP-ლოჟაში მოკალათებულ სხვა განსაკუთრებულ პერსონათა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა სახით „მფრინავ მიხოს“ საიმედო ცოცხალი კედელი იცავდა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც იგი სალსალამათი დაგვიბრუნდა სამშობლოში. გემახსოვრებათ, რამდენიმე თვის წინათ კატალონიაში განხორციელებული „ტურპახოდის“ შემდეგ „ბარსელონა“ დაითარსა და ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო. ნიკალაევიჩს ბედი ჰქონია, ამჯერად ყველაფერი ხოსეპ გვარდიოლას გუნდის ტრიუმფით რომ დასრულდა, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ესპანელთა ნებისყოფას წერტილი დასმოდა და ქართული სახელმწიფოს ამაყ მეთაურს ლინჩის წესით გამასპინძლებოდნენ. მართლაც რომ უფალმა დაგვიფარა.

**გია პლატონიშვილი**

წყალბურთი

# „ზუკას თასი“ – მესამედ



**სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე“ დღეს და ხვალ მესამედ უმასპინძლებს ტრაგიკულად დაღუპული ქართველი წყალბურთელის ზურაბ სახელაშვილის ტურნირს მინი წყალბურთში. მთავარი პრიზისთვის რვა გუნდი იბრძოლებს, მათ შორის – მოსკოვისა და ოდესის ნაკრებები.**

**„ა“ ჯგუფში** წრიული სისტემით ითამაშებენ საქართველოს ნაკრები – 1, მოსკოვის ნაკრები, თბილისის გუნდი და „ივერია“. **„ბ“ ჯგუფში** იასპარეზებენ საქართველოს ნაკრები – 2, ოდესის გუნდი, „ლაგუნა ვერე“ და „დინამო“.



„ზუკას თასის“ გათამაშებასთან დაკავშირებით გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა აღნიშნა, რომ ეს ტურნირი ხელს შეუწყობს საქართველოში წყალბურთის აღორძინებას. მით უმეტეს, რომ სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაცია მომავალი წლიდან შეჯიბრებას თავის კალენდარში შეიტანს და თბილისში საასპარეზოდ უცხოელთა მეტი რაოდენობა გვეწვევა.

ტურნირისთვის საგანგებოდ დამზადდა თასი, რომლის ავტორია მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე. ნამუშევარი შესრულებულია ბრინჯაოში და მოვერცხლილია.

„ლაგუნა ვერეში“ ორთაბრძოლები დღეს 12 საათზე დაიწყება, ხოლო ფინალი ხვალ 17 საათისთვისაა დანიშნული.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: „ზუკას თასი“; პრესკონფერენციაზე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

უნივერსიადა – 2009



# თსუ-მ იმარჯვა

**საქართველოს ათი უმაღლესი სასწავლებლის გუნდები მონაწილეობდა ქუჩის კალათბურთში, რომელიც წლევანდელი უნივერსიადის პროგრამით გაიმართა.** ქვეჯგუფებში წრიული შეხვედრების შემდეგ ფინალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სპორტსმენებს სძლიეს 11:3. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდმა სტუ დაამარცხა – 12:11.

პლაჟბურთი

# ჩრდილოელმა მეზობლებმა გვაჯობეს

**სეულში პლაჟბურთელ ქალთა მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე საქართველოს გუნდმა (საქა-რთველოძ სამი შეხვედრიდან ორი წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.** პირველ ტურში ქართულმა დუეტმა ნორვეგიელები დაამარცხა – 24:22, 21:17. მეორე წრეში ბრაზილიელებთან (ტალიტა – ანტონელიძ დათმო ორთაბრძოლა ორ პარტიაში – 16:21, 15:21. კორეის ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო მესამე ტურის შეხვედრებიც ასპარეზობის მეორე დღეს გაიმართა. ჩვენებმა ამჯერად რუსებთან (ბრატკოვა-უკოლოვაძ წააგეს – 16:21, 24:22, 12:15.

სამწუხაროდ, რუსებთან პაექრობაში ვერც ვაჟთა წყვილმა (გეორ-გიაძ იყოჩაღა პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში. მსოფლიო ტურის მეორე წრეში, გერმანული დუეტის ძლევის შემდეგ, ჩვენები ჩრდილოელ მეზობლებთან (ბარსული-კოლდინსკიძ 1:2 დამარცხდნენ.



ინტერნეტიდან

# რევანში ვერ აიღეს



**დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ფარიკაობაში მსოფლიო თასზე „გრან-პრის“ გათამაშებაზე რუსეთის ნაკრები რევანშს აიღებდა იტალიის გუნდზე შარშან ასეთსავე ტურნირზე „სანკტ-პეტერბურგის რაპირა“ დამარცხებისთვის. თუმცა არაფერი გამოუვიდათ. რუსეთის ნაკრები დამარცხდა 34:45.**

„საწყენია, ორი წელიწადი ზედიზედ საკუთარ სახლში დამარცხდე ფინალში, მაგრამ იტალიელები, ობიექტურად უნდა ითქვას, ამ მომენტისთვის უძლიერესნი არიან მსოფლიოში“, – განაცხადა რუსების მწვრთნელმა.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. იტალია, 2. რუსეთი, 3. საფრანგეთი, 4. ჩინეთი და ა. შ.

# სპორტი და „პლეიბოი“ განუყრელია



**ამბობენ, ეს კომბინაცია ყველანაირად მომგებიანიაო და სწორედ ამით ხსნიან მამაკაცებისთვის განკუთვნილ ამ პოპულარული ჟურნალის ფურცლებზე ბეტ ფიტენის მოხვედრას.**

30 წლის ამერიკელი მოდელი დიდხანს ოცნებობდა ამ ჟურნალში მოხვედრაზე. რაც მთავარია, ბეტი ბავშვობაშიც და მოზარდობაშიც სპორტით იყო გატაცებული, რაზეც, მისივე თქმით, დამოკიდებულია მისი მშვენიერი ფიგურა.

როცა წამოიზარდა, ფიტენმა მწვრთნელობა გადაწყვიტა აეროზიკაში. წარმატებასაც მიაღწია, თუმცა მოდელის კარიერაც არ დავიწყებია. რაღაც მომენტში ისევ გაუმართლა – მას ყურადღება მიაქცია ჰიუ ხეფნერმა.

ახლა ბეტი ორ პროფესიას უთავსებს –მოდელიორობასთან ერთად მასზე დიდი მოთხოვნაა ფიტნესშიც.

მუნდიალ – 2010

# ბილეთები აღარაა!



**ასეთი ცნობა მოვიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, სადაც 2010 წელს უნდა გაიმართოს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც იტყობინებიან, უკვე გაყიდულია ჩემპიონატის გახსნისა და ფინალის ყველა ბილეთი.**

**ფიფა** აცხადებს, რომ აღარ დარჩა ბილეთები ინგლისის, ბრაზილიის, არგენტინის, ავსტრალიის, ირლანდიისა და ნიდერლანდიის ნაკრებების მატჩებზე, თუმცა ჯერჯერობით არც ერთ ამ გუნდს ოფიციალურად არ მოუპოვებია ფინალში მონაწილეობის უფლება.

ამას გარდა, გაყიდული ყოფილა ყველა ბილეთი ნახევარფინალებზე, აგრეთვე კეიპტაუნში, ნელსპრუტში და პრეტორიაში გასამართ მატჩებზე.

მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს აიღებს 2010 წლის 11 ივნისს იოჰანესბურგში.

SIC!

# მოულოდნელი ბარათი

**არ ვიცი, სხვები ყურადღებას არ აქცევენ თუ, რატომ ხდება ასე, მაგრამ ჩემთან ხშირად ყოფილა – სადაც არ ველოდები, ან სხვა რამეს, რომ ველოდები, იქ გადავეყრები მოულოდნელ ამბებს!**

...იმ დღეს, ძველ პიონერთა სასახლის წინ, სკამძელზე ვისვენებდი და მიტინგის მოლოდინში, ათასგვარ საფიქრალზე ვფიქრობდი! საფიქრალის მეტი კი აბა, რა აქვს დღეს ქართველ კაცს?

ბოშა ბიჭი მომადგა და ხელი გამომიშვირა. მეგონა ფულს მთხოვდა და ჯიბეების მოქექვა დავიწყე, მაგრამ შევამჩნიე, ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

– ძია, აი... ძია გამოზავნა... მანეთი მოგცა... იმ ძიას მიუტანოსო...

დავიბენი, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი და, რა თქმა უნდა, გამოვართვი ვიღაც „ძიას" მიერ გამოგზავნილი კონვერტი.

– ვინ ძია, ბიჭო?.. ვინ გამომიგზავნა?.. – მივაყარე ბიჭს, მაგრამ ის უკვე შორს იყო და რაღაც რომ მიპასუხა, ვერც გაიგებდა კაცი ქუჩის ხმაურში.

კონვერტზე ჩემი სახელი და გვარი ეწერა. გავხსენი და გაკრული ხელითნაწერი ბარათი აღმოვაჩინე.

**„ბატონ ზაურის. მე თქვენ გიცნობთ. თქვენ არაერთხელ შეგხვედრივართ ჩვენს სამხედრო ნაწილში. მაშინ მე მუხროვანში არ ვიყავი. მაშინ მე რიგითად ვმსახურობდი შინაგან ჯარში. შინაგან ჯარში თქვენ დადიოდით. ერთხელ თემა დაგვაწერინეთ „რატომ უნდა გიყვარდეს სამშობლო". ჩემი თემა მოგეწონათ და შემაქეთ. ახლა მუხროვანში ამბავი რომ მოხდა, მაგის მერე გადავწყვიტე მომენახეთ და წერილი გადმომეცა. წინასწარ დავწერე ეს წერილი და ერთი კვირაა ფეხსაცმელში მიდევს, რომ არ დამინახონ. ამ წერილს ტუალეტში ვწერ... მოკლედ გეტყვით, მუხროვანში ჯარის არავითარი ამბოხი არ ყოფილა. ჩვენმა ოფიცრებმა (მეც ოფიცერი ვარ!) გვითხრეს, ამბოხება უნდა მოვაწყოთო... გავგიჟდით, რას ლაპარაკობთქო, რას მიედ-მოედებითო, ვუთხარით ჩვენ. მართლა ამბოხი კი არ იქნება, ისე ამბოხება იქნებაო და დავალებები მოგვცა. ჩვენ ამ დავალებების მიხედვით ვმოქმედებდით. ჩვენ არ ვიცოდით რა მოჰყვებოდა ამას. რაც მოჰყვა თქვენ ნახეთ... მთავრობისგან იყო მოწყობილი. თუ კარგად გამოიძიებენ, ყველაფერს აეხდება ფარდა... ბოდიში. ვჩქარობ. სახელგვარს ვერ მოგწერთ... ღმერთმა**





**შემახვედროს თქვენი თავი... სხვას ვერ ვენდობი... ბოდიში! თუ დრო დადგა მე თვითონ ვიტყვი ამას მიტინგზე".**

ორჯერ თუ სამჯერ გადავიკითხე უცნაური და მოულოდნელი ბარათი. ავწრიალდი! ვიჯექი და ვიხსენებდი ვინ და როდის შევაქე „კარგი თემისთვის" მაგრამ არაფერი გამომივიდა. შინაგან ჯარში გაზეთ „ფარის" რედაქტორობის პერიოდში (შვიდი წელიწადი გახლდით რედაქტორი) მართლა ხშირად ჩამიტარებია ამდაგვარი ღონისძიებები. მარტო ის რად ღირდა, რომ 2001 წელს ყველასგან „დავიწყებული" დიდგორის ბრძოლის 800 წლისთავი რომ აღვნიშნეთ დიდგორის მემორიალთან! „ბავშვები" ერთი კვირა ვამუშავე, გავწმინდეთ, გავასუფთავეთ იქაურობა და 12 სექტემბერს დიდი ზეიმიც მოვაწყვეთ, რომელშიც 500-მდე ჯარისკაცმა და ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა. ბევრი ჯარისკაცისთვის მომიწონებია „თემა" და საქციელი. მართლა გამომკრთალან „ტალანტები" ჩვენს რიგებში, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად ბევრი იყო, რომ, რა თქმა უნდა, ყველას ვერც დავიმახსოვრებდი.

...კონვერტში კიდევ ერთი ფარატინა ქაღალდი იდო:

**„არ მოვტყუვდი. ვიფიქრე, მიტინგზე აუცილებლად დადის და გნახავდი... გამიმართლა. მაპატიეთ მე მომერიდა და ამ ბიჭს ვატან!"**

...აქვე გთავაზობთ ორივე ბარათის ფოტოპირს. იქნებ ერთად ვიფიქროთ რას ნიშნავს ეს ბარათი? მე კი, გაოგნებული ვარ!..

**ზაურ ფიფია,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

თაყვანისმცემლის ემოცია

# და ჟღერდა დაუვიწყარი მელოდიები

**ახლახან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გურამ ბზვანელის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი არაჩვეულებრივად ლამაზი შემოქმედებითი საღამო გაიმართა.**




საღამოზე ჟღერდა მისი ცნობილი „ჩავაქრე სანთელი", მელოდიები ანსამბლ „მზიურის" ცნობილი რეპერტუარიდან, ხოლო საქართველოს სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანმა კვარტეტმა შეასრულა მისი მელოდიების პოპური. ეკრანზე უჩვენეს კადრები ფილმებიდან ცნობილი „გეპეის" კვარტეტის – ცინცაძე, ხარაბაძე, ბაკურაძე, ბზვანელის მონაწილეობით. სხვათა შორის, ტელეარხმა „კულტურამ" 24 მაისს ამ კვარტეტს გადაცემა მიუძღვნა. ჟღერდა შესანიშნავი ორკესტრი გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ დიდი გულთბილობითა და სიყვარულით ოვაცია გაუმართა ქართული კვარტეტის ფუძისჩამყრელსა და არაჩვეულებრივად მოკრძალებულ ლამაზ პიროვნებას გურამ ბზვანელს, რომლის სიმღერებსა და მელოდიებს ასრულებდნენ ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ეკა მამალაძე, ანსამბლი „დიელო", რომელმაც გააცოცხლა „გეპეის" კვარტეტის რეპერტუარი და დარბაზში მსხდომთა დადებითი ემოციები გაამძაფრა.

**მალხაზ დოლიძე,**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინფორმაცია

# ქართველ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს




**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 28 მაისს, 20 საათზე გორის რაიონის სოფელ კოშკასთან განლაგებულ პოლიციის საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნეს რუსების მიერ კონტროლირებადი საქართველოს ტერიტორიიდან, სოფელ დისევიდან.**

**ინტენსიური სროლა გრძელდებოდა სამი წუთის განმავლობაში მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან. დაზიანდა სოფელ კოშკასთან მდებარე პოლიციის საგუშაგო.**

**ასევე, გუშინ დილით, 07:30 საათზე ცეცხლი გაუხსნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „პიკაპის" ტიპის ავტომანქანას, რომელიც ახორციელებდა პატრულირებას კასპის რაიონის სოფელ ლამისყანიდან.**

**ინტერპრესნიუსი**

## შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

# სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ

**სს „იბერია უძრავი ქონება"-ს (ს/კ – 205038546) სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 19 ივნისს 11:00 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.№49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.**

**სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2009 წლის 11 ივნისს, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერებთა სია.**

**დღის წესრიგი:**

1. სს მენეჯმენტის ანგარიში 2008 წლის შედეგების შესახებ და 2009 წლის ბიუჯეტის განხილვა;

2. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა;

**3. OPIC**-ის სესხის პირობების განხილვა და დამტკიცება.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სსის დირექტორთან. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2009 წლის 8 ივნისამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

**საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა, რომ**

1. ახალი ბიუჯეტის განხილვა საშუალებას მისცემს მენეჯმენტს სწორად მართოს კომპანიის ფინანსური რესურსები.

2. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად და საზოგადოების უფრო ეფექტური და პროდუქტიული მუშაობისათვის მიზანშეწონილია დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.

3. **OPIC**-თან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, **OPIC**-ის სესხთან დაკავშირებით "სავარაუდო პირობათა ჩამონათვალის" (Indicative Term Sheet) განხილვა და მისი დამტკიცება.

საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები საშუალებას მისცემს საზოგადოებას ახალი და პერსპექტიული გეგმების განსავითარებლად.

**პატივისცემით,**
**რამაზ მოსაშვილი**
**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,**

**ვლადიმერ თუხარელი**
**დირექტორი**



**ძმა რეზო, ძმისწულები ეკა, ირაკლი ჩაგელიშვილები, რძლები დონარა სალაძე, თამუნა წივწივაძე, სიძე გიორგი გოცირიძე შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ანზორ გიორგის ძე**
**ჩაგელიშვილი**

**პანაშვიდი 29, 30 V, 17 სთ. კეკელიძის ქ. №15, გამოსვენება 31 V, 15 სთ. წმინდა პანტელეიმონის (ზემო ვერისძ სასაფლაოს ეკლესიიდან.**

---

**ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**ანზორ ჩაგელიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

---

**მამია, ნინო, ზაალ, ზურაბ სულაბერიძეები, ქეთინო რუხაძე, ირაკლი სურმავა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჭეშმარიტი მამულიშვილის, დამსახურებული მეტალურგის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების მრავალგზის დეპუტატის, რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერის, დიდი ოჯახის თავკაცის, ღირსეული მეუღლის, მამისა და ბაბუის**

**გოდერძი ფანჩვიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს.**

## ამასაც მოვესწარით!

**ამ კითხვას ხშირად გაიგონებთ დღეს სამეგრელოში, რადგან ბოლო მონაცემებით, ძალიან გახშირდა თვითმკვლელობები, თვითმკვლელობის მცდელობისა და სხეულის განზრახ დაზიანების შემთხვევები.**

საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო 19 წლის ა. ჩხოტუამ, რომელსაც დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი. ავტომანქანის უსაფრთხოების ღვედით, სოფ. რუხის სასაფლაოზე სიძის საფლავზე თავი ჩამოიხრჩო 40 წლის ზ. შონიამ. ფოთში თავი ჩამოიხრჩო 69 წლის კ. გოროზიამ,

### რატომ გახშირდა სამეგრელოში თვითმკვლელობები?

ზუგდიდში მცხოვრებმა 49 წლის ი. ბერიშვილმა მედიკამენტებით სცადა თვითმკვლელობა; ზუგდიდელმა 52 წლის ჯ. გვაგვალიამ საკუთარ სახლში სცადა თავის ჩამოხრჩობა. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ შემზარავი ფაქტებისა, რომელსაც ახსნას ვერ მოუძებნი.

სუიციდი – თვითმკვლელობა, ყოველთვის აღიქმებოდა როგორც ბოროტების სიკეთეზე გამარჯვებად, ამიტომაც გვირჩევს ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მალხაზ ჭანტურია ეკლესიურად ცხოვრებას. „ჩვენი მოსახლეობა უნდა მიხვდეს, რომ ხსნა მხოლოდ ეკლესიურ ცხოვრებაშია. უნდა მოუხშირონ ეკლესიაში სიარულს, მეტი უნდა ილოცონ, უნდა იმარხულონ, განსაკუთრებით კვირაობით მოუსმინონ ეკლესიებში ქადაგებას, სხვანაირად ვერ დავამარცხებთ იმ სატანას, ეშმაკს, რომელიც ბოგინობს ჩვენს სინამდვილეში" – აღნიშნა მამა მალხაზმა.

ლადო ქირია

## ჯანმრთელობა

### ნუში სისხლძარღვებს ასუფთავებს



**ის თურმე ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში – ასე იტყობინებიან კონექტიკუტის (აშშ უნივერსიტეტის სპეციალისტები.**

მათ განაზოგადეს 5 გამოკვლევის შედეგები, რომლის დროსაც სწავლობდნენ ნუშის გავლენას ნივთიერებათა ცვლაზე. ყველა გამოკვლევაში აღინიშნებოდა გამოსაცდელებში ქოლესტერინის დონის დაცემა. ისინი კი 25 გრამიდან 168 გრამამდე ნუშს ჭამდნენ ყოველდღიურად ზედიზედ, თითქმის ოთხი კვირის მანძილზე. საშუალოდ თვეში ქოლესტერინი მცირდებოდა 0,18 მმილით.

### მარილი – ციფრებსა და ფაქტებში

**დღეში 3-5 გრამი მარილი უნდა შეჭამოს ცივჰავიანი ქვეყნის მცხოვრებმა, მათ კი, ვინც სამხრეთ განედებში ცხოვრობენ, ყოველდღიურად 20 გრამამდე მარილი სჭირდებათ – სამხრეთში ხომ მეტად ოფლიანდებიან.**

● ოდესღაც 4 პატარა ნატეხ მარილად – აბისინიაში მონის ყიდვა შეიძლებოდა. მარილი იმდენად ძვირფასი იყო, რომ მის გამო ომებიც კი იწყებოდა. ახლა მარილი ყველაზე იაფი სანელებელია.

● მარილის ჭარბად გამოყენებას მივყავართ სისხლის წნევის გადიდებამდე, ის იწვევს გულისა და თირკმელების დაავადებებს.

● რაც უფრო მსხვილია მარილი, იმდენად მასში შენარჩუნებულია სასარგებლო მიკროელემენტები.

● ადამიანი, შეიძლება, გარდაიცვალოს ორგანიზმში მარილის ქრონიკული ნაკლებობით.

● 250 გრამი მარილი ნამდვილად სასიკვდილო დოზაა 80 კილოგრამიანი წონის ადამიანისთვის.

● არ ღირს იოდიზირებული მარილით საშინაო კონსერვების შეზავება. ის ადუღდება ან მომწარო გემოს მიიღებს.

● იოდიზირებული მარილი 4 თვის შენახვის შემდეგ კარგავს თავის ყველა სასარგებლო თვისებას.

● მარილის შემადგენლობაში ორი ძირითადი ელემენტია – ნატრიუმი და ქლორი. ნატრიუმი ორგანიზმისთვის აუცილებელია წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად, აგრეთვე ნერვიული იმპულსების გადასაცემად და კუნთების ნორმალური მუშაობისათვის.

### SMS ავარიებით იმუქრება



**ავტომანქანის მართვის დროს SMS-ის, ანუ ტექსტური ინფორმაციის გაგზავნა-მიღება სასიკვდილო საფრთხეს იწვევს – ეს ექსპერიმენტულად დაამტკიცეს აღმოსავლეთ ვირჯინიის (აშშ სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა.**

ამ ექსპერიმენტისათვის სპეციალისტებმა მიიწვიეს 16-18 წლის მოზარდები, მანქანის მძღოლის ექვსთვიანი გამოცდილება რომ ჰქონდათ.

ექსპერიმენტის დროს იყენებდნენ მანქანის მართვის კომპიუტერულ სტიმულიატორს.

როდესაც ყმაწვილები მანქანის მართვის დროს წერდნენ SMS შეტყობინებებს, ისინი ძალზე უყურადღებონი იყვნენ – ხშირად გადადიოდნენ გზიდან, მკვეთრად ცვლიდნენ სიჩქარეს, არღვევდნენ საგზაო მოძრაობის წესებს და გამვლელებსაც კი ეჯახებოდნენ.

საბოლოოდ ამას, შესაძლოა, მივეყვანეთ სერიოზულ შედეგებამდე. ამის მიზეზი მარტივია: ადამიანი ყურადღებას წყვეტს გზას, რადგან ამ დროს მისი ტვინი მიმართულია SMS-ის ტექსტის შედგენისკენ.

### მოდით, ერთად ვირბინოთ!



**სირბილის დროს ამოქმედებულია მთელი სხეული მთლიანად. ფეხების და დუნდულების კუნთები გვწყვეტენ მიწიდან, ზურგისა და მუცლის კუნთები გვეხმარებიან წონასწორობის დაცვაში, ხელების დახმარებით კუნთები ამპლიტუდას აძლევენ ნაბიჯს. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს, თვით ნელი სირბილის დროსაც კი, ერთ საათში დავწვათ 500 კილოკალორია, თანაც ვისწავლოთ სწორი სირბილი.**

ამერიკის სპორტული მედიცინის კოლეჯის სპეციალისტების მონაცემებით, თუ გვინდა წონაში ნორმალური დაკლება, ყველაზე ეფექტურია კვირაში 3-4-ჯერ სირბილი 30-40 წუთით. თუმცა მსუქანი ადამიანებისთვის ასეთი რეჟიმი მიუღებელი იქნება მათი გულისა და სახსრებისთვის. ამიტომაც ამერიკელი ექიმები გვირჩევენ, დავიწყოთ 15-20-წუთიანი სირბილით კვირაში 2-ჯერ, და კიდევ კვირაში 2-ჯერ 30-40-წუთიანი აქტიური სიარულით. თანდათანობით სირბილის დროის გადიდებით შევცვალოთ სიარული სირბილით. ამერიკელების აზრით, 2-4 თვეში შეგვეძლება მთლიანად სირბილზე გადასვლა აუცილებელი რეჟიმით.

მაინც როდის ვირბინოთ – დილით თუ საღამოს? ბევრისთვის სწორედ ესაა საჭოჭმანო პრობლემა. ერთნი გვიმტკიცებენ, რომ დილით სირბილი მავნეა, რადგან ამ დროს სხეულს ისევ სძინავს. მეორეებს კი მიაჩნიათ, რომ უკეთესია დილით სირბილი, რადგან ის იძლევა ტონუსს მთელი დღისთვის. მოდით, ასე შევთანხმდეთ – ვირბინოთ მაშინ, როდესაც პირადად ჩვენთვის უფრო მოსახერხებელია.

მაგრამ ერთი რამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს: არ ვირბინოთ მშიერი მუცლით, უზმოზე. ჩვენს ორგანიზმს არ შეუძლია, იმუშაოს მხოლოდ სხეულში დაგროვილი ცხიმით თუ ქონით, მას სჭირდება სულ ცოტა ნახშირბადები, ამიტომ დილით ტკბილი ჩაი ან ხილის წვენი მაინც უნდა დავლიოთ.

და კიდევ – სად ვირბინოთ? ჯერ ერთი. უნდა იყოს სუფთა ჰაერი. თანაც სკვერი, პარკი, სტადიონი (თუნდაც სკოლისძ თითქმის ყველგანაა. ეცადეთ, აღმართში ჯერ ნაბიჯებით ახვიდეთ, შემდეგ კი სირბილით, ღრმად ისუნთქეთ. ჩაისუნთქეთ პირით, ამოისუნთქეთ ცხვირით.

### ყავა ნარკოტიკივით მოქმედებს?



**ამ გამახალისებელი სასმელის მოყვარულები დილაადრიან, საუზმეზე ერთი ფინჯანი ყავის დალევასაც რომ ვერ მოასწრებენ, დღისით თავისტკივილი შეაწუხებთ – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ვერმონტის სამედიცინო კოლეჯისა და ჯონ ჰოპკინსის სკოლის მეცნიერები, კოფეინის ნაკლულობის დროს ტვინის ელექტრონულ აქტიურობასა და სისხლის მიმოქცევის სიჩქარეს რომ აანალიზებდნენ.** ამას გარდა, მკვლევარებმა მოაწყვეს ექსპერიმენტიც, რომლის დროსაც მის მონაწილეებს ურიგებდნენ კოფეინისა და პლაცებოს კაფსულებს. შემდეგ გამოირკვა, რომ კოფეინის ნაკლებობა ცვლის სისხლის მიმოქცევას და ადამიანს ერევა ძილი და კარგავს სიფხიზლეს.

### ასპირინი კიბოსგან გიხსნით



**თუ ასპირინს ყოველდღიურად მიიღებთ, მნიშვნელოვნად შეამცირებთ კიბოთი დაავადების რისკს – ეს განაცხადეს დიდი ბრიტანეთის კიბოს შესწავლის ცენტრის ექსპერტებმა.**

ადამიანები, ასპირინს 10 წლის განმავლობაში რომ ღებულობენ, იშვიათად ავადდებიან მკერდისა და კუჭ-ნაწლავის კიბოთი. ამ პრეპარატის მიღების საშუალო ასაკში, მაგალითად, 40 წლიდან დაწყება, დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე 60 წლის შემდეგაც, როდესაც ხდება დაავადების უმეტესი შემთხვევები.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს წამალი აბრკოლებს პროტეინების მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ორგანიზმში კიბოს განვითარებასთან.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– გადაიხადე გადასახადი და იძინე წყნარად!

– როგორ, მშიერი კუჭით?

* * *

დადგენილია, რომ ქალის ტვინი ერთნახევარჯერ უფრო ლამაზია, ვიდრე მამაკაცისა.

* * *

განათლება – აი, რა არ ჰყოფნის უმეცარს იმაში დასარწმუნებლად, რომ არაფერი არ იცის.



* * *

ტიპი ავიაკომპანიაში რეკავს ბილეთის დასაჯავშნად.

– რამდენი ადამიანი გაფრინდება თქვენთან ერთად? – ეკითხება ოპერატორი.

– აბა, მე რა ვიცი? ეს ხომ თქვენი თვითმფრინავია!

* * *

– ექიმო, აგერ უკვე ექვსი თვეა, ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ, –ეუბნება ტიპი ფსიქიატრს. – სადმე (რესტორანში, ბარში, ქუჩაში) ვეცნობი ერთსა და იმავე ლამაზ გოგოს. ჩემთან მივდივართ სახლში. იგი სტრიპტიზს ასრულებს და დილამდე გიჟური სექსი გვაქვს.

– მერე ჩემგან რა გინდათ?

– შემიკლა ხელში, მომწყინდა... სხვა ქალი მინდა!!!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ჭოხულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.